მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

ებრაული გაზეთი საქართველოში
MENORA JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

``МЕНОРА``
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

სექტემბერი (ელული)
1-15
№17 (304)
(5769 წელი)
2009 წელი
ფასი 50 თეთრი

מנורה

სამ რამეს დააკვირდი და ცოდვას არ ჩაიდენ: როგორ გაჩნდი, სად მიდიხარ და ვის ჩააბარებ ანგარიშს. საიდან მოხვედი? — მყრალი წვეთისგან. საით მიდიხარ? — მტვრის, მატლის და ჭიათა საუფლოში. ვის ჩააბარებ ანგარიშს? — დიდზე დიდ ხელმწიფეს წმიდათა-წმიდა მეუფეს. კურთხეულია იგი.

"ფირკე ავოთ" 3,1

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ბატონი

ვახტანგ ჯაოშვილი პასუხობს გაზეთ "მენორას" შეკითხვებს:

— როგორ ჩატარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის — ბ-ნ ნ. გილაურის ვიზიტი ისრაელში. რა ფუნქციას შეასრულებს ეს ვიზიტი საქართველო-ისრაელის სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებაში?

— პირდაპირ შემიძლია მოგახსენოთ, რომ ბ-ნი ნიკა გილაურის ვიზიტი ძალიან წარმატებული გამოდგა. პირველ რიგში იგი შეხვდა ბიზნესმენთა წრეს, რომელიც, როგორც ცნობილია, ყველაზე დიდი ინვესტორია საქართველოს ეკონომიკაში და სასიხარულოა, რომ მისმა ვიზიტმა გამოიწვია ძალიან დიდი ინტერესი ისრაელის ბიზნესმენთა მხრიდან. საქმე ეხებოდა სხვადასხვა სფეროებს, როგორიც არის კომუნიკაციების მშენებლობა, საბანკო, სადაზღვევო სფეროებს და ა.შ. გაიმართა პრეზენტაცია, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია მათი მხრიდან. დამყარდა საქმიანი კონტრაქტები და ბევრმა ისრაელელმა ბიზნესმენმა გამოთქვა საქართველოში ინვესტიციათა გაგრძელების სურვილი. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის და გასული წლის აგვისტოს თვის ომის მიუხედავად ბევრი ინვესტიციეა და ინტერესი საქართველოს მიმართ ბრუნდება, იზრდება, და არიან მსხვილი კომპანიები, რომლებიც მზად არიან დააბანდონ ძალიან მნიშვნელოვანი თანხები საქართველოს ეკონომიკაში. გარდა ამისა, შედგა ძალიან საინტერესო კონსტრუქციული შეხვედრები ისრაელის პრეზიდენტთან ბ-ნ შიმონ პერესთან და ისრაელის ვიცე-პრემიერთან, რომელზეც განხილულ იქნა ორმხრივი ურთიერთობები და მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. რასაკვირველია, ხაზი გაესვა აგრეთვე ჩვენი ორი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას. გარდა ამისა, დაგეგმილია როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო პროექტები, განხილვის და განვითარების სტადიაში.

სადღეისოდ როგორია საელჩოს ურთიერთობა ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელობასთან?

— ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა, ამის დამადასტურებელი იყო თუნდაც ის სიყვარული და თანადგომა, რომელიც ქართველმა ებრაელებმა გამოიჩინეს გასული წლის აგვისტოს თვეში. ის ცოცხალი ჯაჭვი და მიტინგები, რომლებზეც იყო ათასობით ადამიანი. ჩვენ არ შეგვიძლია ეს არ დავაფასოთ და მადლობა არ გადავუხადოთ მათ ამისათვის. ამავე დროს შემიძლია გითხრათ, რომ შეხვედრა მქონია სხვადასხვა ებრაულ თემებთან,ეს იქნება საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებში თუ სხვა, რომლებიც ასევე აღფრთოვანებით საუბრობდნენ ქართველ ებრაელობაზე, თუ როგორ შეინახეს მათ საქართველოს მიმართ სიყვარული და გადასცეს ეს შემდეგ თაობებს. ასევე ამის დამადასტურებელია ამ წლის აგვისტოში რუსეთის საელჩოს წინ გამართული მიტინგი, რომელიც გაიმართა მათივე ინიციატივით, საელჩოსგან დამოუკიდებლად. ცხადია, ჩვენ მათთან გვაქვს კარგი ურთიერთობები, ბევრი საერთო პროექტი და სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართველი ებრაელების ძალიან ბევრი წარმომადგენელი დღესდღეობით წარმატებულად მოღვაწეობს პოლიტიკაში,ხელოვნებაში, მედიცინაში და სხვა სფეროებში.

— თქვენ ისრაელში ადრეც მუშაობდით. ახლა კი ელჩის რანგში ჩახვედით. როგორ შეეჩვიეთ ახალ გარემოს?

— გარემოსთან შეჩვევა პრინციპში არ დამჭირვებია,იმიტომ რომ 3-4 წლის განმავლობაში აქ ვმუშაობდი. ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა, ძალიან ბევრი ძველი მეგობარი დამხვდა, რომლებმაც გამიადვილეს ახალ რანგში მუშაობის დაწყება და განვითარება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც გაგრძელდება და გარწმუნებთ, რომ ჩემს მთელ ძალისხმევას მოვახმარ ისრაელსა და საქართველოს შორის ასეთი კარგი ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას და ორ ქვეყანას შორის მათ უფრო და უფრო განვითარებას.

— ხომ არ შენელდა ისრაელელ ტურისტთა ინტერესი საქართველოსადმი?

— შარშანდელმა აგვისტოს მოვლენებმა უკვე ჩაიარეს,რაც აისახა უფრო მეტი ისრაელელი ტურისტის ჩასვლაზე საქართველოში. გარწმუნებთ, არ გვქონია შემთხვევა,რომ საქართველოდან დაბრუნებულ ადამიანს არ ერჩიოს თავისი ახლობელისთვის, მეგობრისთვის ან ნათესავისთვის საქართველოში წასვლა,იმისათვის რომ თავად ნახონ და დარწმუნდნენ ამ ქვეყნის სილამაზეში. ეს მათი სიტყვებია.. რომ საქართველო მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქვეყანაა თავისი მთებით, ბუნებით, არაჩვეულებრივი და სტუმართმოყვარე ხალხით. აგრეთვე მინდა აღვნიშნო,რომ ებრაელი ტურისტების რიცხვი,ყოველ წელიწადს იზრდება.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ორიოდე სიტყვა ვთქვა თქვენი გაზეთის თაობაზე. თქვენი გაზეთის მეშვეობით საელჩოს და არა მარტო საელჩოს, აგრეთვე აქ მცხოვრებ ქართველ ებრაელ მოსახლეობას საშუალება ეძლევა გაეცნოს ქართველი ებრაელობის მოღვაწეობას, როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში. გარწმუნებთ, რომ ისრაელში "მენორა" ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს.

საუბარი ჩაიწერა
ლიდია ხომენკომ

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი ალექსანდრე მაშკევიჩი



საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინი არიელ ლევინი

დადგა ელული — მონანიების თვე

ელულ — თიშრედან დაწყებული წლის მეთორმეტე და ნისანიდან მოყოლებული წლის მეექვსე თვეა. ამ თვის სახელწოდება წარმოშობილია სიტყვიდან „ელულუ“, რაც ებრაულად „მკას“ ნიშნავს. ელულ ასეც განიმარტება: ე ლ უ ლ — თეჰილიმის მიზმორის (ანი ლედოდი ვედოდი ლი — მე ჩემი საყვარლისთვის და ჩემი საყვარელი ჩემთვის) პირველი ასოებია. ჩვენ, ისრაელის ხალხი დავუბრუნდებით ჩვენს საყვარელს — ღმ-თს და ჩვენი საყვარელი — ღმ-თი მიიღებს ჩვენს მონანიებას.

ამ თავის ზოდიაქოს ნიშანია „ქალწული“, ირმიაჰუ წინასწარმეტყველის წიგნში ხომ ნათქვამია „დაბრუნდი ისრაელის ქალწულო“.

ამ თვეს ტრადიციულად მოწყალებისა და მონანიების თვე ეწოდება. რადგან ის როშ ჰაშანასა და ქიფურს უსწრებს წინ.

ჩვენს ნეტარხსენებულ ბრძენთა მიხედვით, მას შემდეგ, რაც მოშე რაბენუმ აღთქმის დაფები დაამსხვრია, ის ელულის თვის როშ ხოდეშში მეორედ ავიდა სინაის მთაზე, დაემხო ღმ-თის წინაშე და შეწყალება სთხოვა ისრაელის შვილთათვის „ოქროს ვერძის“ ცოდვათა გამო. ღმ-თმა შეისმინა მოშეს ვედრება და მეორედ მისცა მას აღთქმის დაფები. მოშე რაბენუ მხოლოდ 40 დღის შემდეგ, ქიფურის დღეს ჩამოვიდა მთიდან. ამიტომ ეს 40 დღე ისრაელის შვილებს დაუწესდათ თეშუბაზე შემოსაბრუნებლად და ცოდვების მოსანანიებლად.

იმის გამო, რომ ეს დღეები თეშუბის დღეებია, ამ თვეში განთიადისას დგებიან, რათა ეგრეთწოდებული „სელიხოთების“ ლოცვებს მოუხშირონ. ხასიდუთში ნათქვამია, რომ წლის სხვა თვეებისგან განსხვავებით, როცა მეფე (ღმ-თი) თავის სასახლეში იმყოფება, ელულის თვეში „მეფე ველზეა“ გამოსული, ე.ი. ის ხალხთან ახლოს იმყოფება და ყველას მიესვლება მასთან.

ელულის როშ ხოდეშის მეორე დღიდან როშ ჰაშანის შემომავალ დღემდე, ყოველდღე, შახრითის ლოცვის შემდეგ შოფარს უკრავენ 4 ხმაზე: თეკიყა, შევარიმ, თერუყა, თეკიყა.

სელიხოთი

სელიხოთში შოფარის დაკვრა თორიდან არ მოდის, ეს ისრაელის ჩვეულებაა. როცა მოშე ელულის როშ ხოდეშში სინაის მთაზე ავიდა, დაბლა ბანაკში დარჩენილთ შოფარი დაუკრეს, რათა ისრაელის შვილთათვის ეცნობებინათ, რომ მოშე მთაზე ავიდა და აღარ შემცდარიყვნენ კერპთაყვანისმცემლობაში. ამიტომ ჩვეულებადაა ელულის როშ ხოდეშში შოფარის დაკვრა, რათა შეახსენონ მოშეს სინაის მთაზე მეორედ ასვლა, ისრაელის შვილების თავიანთი ცოდვებისაგან შემობრუნება, რომ მიეტევათ მათ ცოდვები და 40 დღის შემდეგ მეორედ მიეცათ აღთქმის დაფები. ამის შეხსენება ადამიანს თეშუბისაკენ აბრუნებს.

შოფარს უკრავენ მხოლოდ შახრითის ლოცვის შემდეგ, რადგანაც მოშე რაბენუ განთიადისას ავიდა სინაის მთაზე.

მთელი თვის განმავლობაში ყოველდღე უკრავენ შოფარს, რათა გააფრთხილონ ხალხი, რომ „განსჯის დღე“ ახლოვდება და გამოფხიზლდნენ თეშუბაზე შემოსაბრუნებლად.

როშ ჰაშანის შემომავალ დღეს არ უკრავენ შოფარს, რათა ელულის თვეში შოფარის დაკვრა, რაც ბრძენ ხახამთა მიერ იქნა შემოღებული, განასხვავონ როშ ჰაშანაში შოფარის დაკვრისაგან, რაც უკვე თორიდანაა მოცემული.

ელულის თვის როშ ხოდეშის მეორე დღიდან „ჰოშაანა რაბა“-მდე ზოგ თემში შახრითისა და ყარბითის ლოცვის შემდეგ თეჰილიმის 27-ე მიზმორს 10 ან მეტჯერ ამბობენ.

როს ჰაშანის შემომავალ დღეს განთიადისას დგებიან, „სელიხოთებსა“ და „თახანუნს“ ამბობენ. რადგან ეს „განსჯის დღის“ წინა დღეა, რომ ქვეყნის ყოველი გაჩენილნი ღმ-თის წინაშე ჩაივლიან, როგორც მერონის ძენი და ფრთხილობენ რაიმე ცოდვა არ ჩაიდინონ.

ჰათარათ ნედარიმ

ჰათარათ ნედარიმ — თორის მიხედვით ადამიანმა უნდა შეასრულოს ნედერი (აღთქმა, დადებული პირობა), მაგრამ თუ ვერ შეასრულებს, მისგან განთავისუფლება მხოლოდ ხახამს შეუძლია, ამიტომ როშ ჰაშანის შემომავალს სამი ადამიანის თანდასწრებით, რომლებიც თავისებურად სამსჯავროს წარმოადგენენ, ანთავისუფლებენ წლის განმავლობაში დადებული ნედერებიდან.

პროფესორი შურა ფიჩხაძე 75



75 წელი შეუსრულდა ქართველ ებრაელ მეცნიერს შალომ (შურა) ფიჩხაძეს .

იგი დაიბადა 1934 წელს თბილისში, 1952 წელს დაამთავრა ვაჟთა მე–19 სკოლა მედალზე და უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რასაც 1957 წელს წარმატებით ამთავრებს.

1959–62 წლები – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში სწავლა და 1963 წელს – წარმატებით საკანდიდატო დისერტაციის დაცვა. წარმატებას წარმატება მოსდევს და 1995 წელს – თბილისში, სადოქტორო დისერტაციის დაცვა.

შურა ფიჩხაძე გახლავთ ტექნოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო და ნიუ–იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი . სამართლიანად აღიარებულია საფეიქრო ქიმიის, როგორც მეცნიერების, საფეიქრო ქიმიის სკოლის ჩამომყალიბებელი. გახლავთ 150–მდე სამეცნიერო ნაშრომის და ათეულობით გამოგონების ავტორი, რომლებიც დაპატენტებულია იაპონიაში, საფრანგეთში, იტალიაში და ინდოეთში.

ადრეული წლებიდან გატაცებული იყო მუსიკით, ბალეტით, ჭადრაკით. მისი საყვარელი კომპოზიტორებია ბახი და ჩაიკოვსკი; და არც შემთხვევითია, რომ ცხოვრების მეგზურად წარმატებული მუსიკოსი, თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული–ქალბატონი ვიოლა ხანანაშვილი აირჩია. შურა ფიჩხაძეს მინიჭებული აქვს სპორტის ოსტატის წოდება ჭადრაკში, ხოლო მისმა კიდევ ერთმა გატაცებამ – ფოტოგრაფიულმა ნამუშევრებმა, ფოტოეტიუდებმა მრავალი ჯილდო დაიმსახურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სურათების მაღალხარისხოვნებით შურამ მართლაც და შეაჩერა ცხოვრების საუკეთესო წამები, „შეჩერდი წამო, შენ ხომ ასეთი მშვენიერი ხარ“ მიმართა მათ და მათაც სამუდამოდ დაისავანეს მისი ცხოვრების მშვენიერებად.

შურა ფიჩხაძის მრავალმხრივ ნიჭიერებას, მის მეცნიერულ შემოქმედებას გვირგვინად ადგას მისი უნიკალური ადამიანური ღირსებები – პიროვნული მოკრძალება, უსაზღვრო კეთილშობილება, კეთილზნეობა, მაღალი ინტელექტი – რაც აპირობებს მისადმი დიდ სიყვარულს და პატივისცემას.

ამჯამად, შურა ფიჩხაძე და ქალბატონი ვიოლა ისრაელის მკვიდრნი არიან. მშობლიურმა ქვეყანამ ერთგული და ღირსეული შვილი სიყვარულით და ფასდებით მიიღო,ზრუნვა და ყურადღება არ დაკლებია, მაგრამ მისი ჯანმრთელობა შერყეულია. ვულოცავთ რა მას ესოდენ მნიშვნელოვან თარიღს – 75 წლის შესრულებას მისი ოჯახის წევრები, კოლეგები, თანაუნივერსიტეტელები, თანამოქალაქენი – ვუსურვებთ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას თავისი ლამაზი და შინაარსიანი ცხოვრების გასაგრძელებლად.

სიმა ჯანაშვილი.

უერთდებიან: **ვიოლა ხანანაშვილი, ბორის ფიჩხაძე, ნინო, ლექსო** და **მიშიკო**.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი, სემკ–ის მეცნიერების კომისია.

ბანაკი „გან ისრაელი“ საქართველოში

არნახული წარმატებით დამთავრდა ბანაკი „გან ისრაელი“. ბანაკში იყო 2 ცვლა, პირველი 15 ივნისიდან 28 ივნისამდე-გოგოები და მეორე-30 ივნისიდან 13 ივლისამდე ვაჟები, ებრაული ბანაკი მოეწყო აჭარის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში-მწვანე კონცხზე, კომფორტაბელურ კომპლექსში „გიო“.

დაახლოებით 140-მა ბავშვმა 11-დან 17 წლამდე არა მარტო კარგად დაისვენეს და შეიგრძნეს თავი ერთ ოჯახად, არამედ გაიგეს ბევრი ახალი და საინტერესო ებრაული ცხოვრების წესზე,რადგან ბანაკის თემა-ებრაული ცხოვრების წრე-მაქსიმალურად იძლეოდა ამის საშუალებას.

ყოველდღიურად იხსნებოდა ახალი თემა და მის მიხედვით ბავშვები თავისი ხელებით ამზადებდნენ განუმეორებელ ნივთებს, მაგალითად - ცედაკის ყუთს, სპეციალურ ჭურჭელს ხელის დაბანისთვის. ვიქტორინებმა, კონკურსებმა, მხიარულმა ესტაფეტებმა, ლოცვამ-განსაკუთრებით დილის და შაბათის ლოცვებმა — ხელი შეუწყეს ბავშვების გაერთიანებას. ვიღაცამ პირველად დაიცვა შაბათი, ვიღაცამ პირველად შეასრულა თეფილინის მიცვა, ბევრმა დაირქვა ებრაული სახელი, უმეტესობის სახელი პირველად დაილოცა სეფერ-თორასთან, ბევრმა მიიღო პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც მათ ჰქონდათ ან გაუჩნდათ ბანაკში ყოფნის დროს.

ბანაკის მსვლელობის დროს ჩამოდიოდნენ სპეციალურად დაპატიჟებული სტუმრები- საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი-რავ ავიმელეხ როზენბლატი მეუღლით, რავ დავით მდინარაძე ისრაელიდან,დინა ელიგულაშვილი მოსკოვიდან, რომლებიც ეხმარებოდნენ ბავშვებს ებრაული თემების განხილვაში, ლექციებს ამ საკითხებზე აგრეთვე ატარებდნენ რ. ბენციონ ისრაელაშვილი, სიმხა-ჟუჟუნა გაზნელი-მდინარაძე და აჰარონ მდინარაძე.

შემეცნებით პროგრამებთან ერთად იყო ბევრი გართობაც ფიგურული სრიალი, გასეირნება გემით, ყოველდღიური ბანაობა ბასეინში ან შავ ზღვაში, ბოტანიკური ბაღის და აკვარიუმის დათვალიერება, ექსკურსია ისტორიულ ციხე-სიმაგრე გონიოში და ჩანჩქერ-ზე, დაუვიწყარი ატრაქციონები კომპლექსს „ციცინათელაში“, რომელიც გახსნილი იყო სპეციალურად ჩვენი ბავშვებისთვის არასამუშაო დროს, ფილმების ჩვენებები, დისკოთეკა, ბანაკის ჩემპიონატი ფეხბურთში, მხიარული სიმღერები კარაოკის თანხლებით, ებრაული დაბადების დღეების აღნიშვნა და ა.შ.

იყო გამოშვებული ადგილობრივი ვალუტაც „განი“, რომლებიც ურიგდებოდათ ბავშვებს ამა თუ იმ კონკურსში თუ ვიქტორინაში გამარჯვებისათვის, ხოლო ბანაკის დამთავრებისას ადგილობრივ „მაღაზიაში“ ისინი იძენდნენ მოწონებულ სათამაშოებს, სუვენირებს და საჩუქრებს.

იმედია ეს დღეები დაამახსოვრდებათ არა მარტო ბავშვებს,არამედ მათ მშობლებსაც, რადგან ბევრ მათგანს ჰქონდა საშუალება გაეტარებინათ შაბათი ამ პატარა პლანეტაზე, რომელსაც ეწოდება „გან ისრაელი“.

გამომგაზავების წინ იქნა დასახელებული საუკეთესო ჯგუფი, როგორც ბიჭებს, ასევე გოგონებს შორის (მათ ელოდებათ სიურპრიზი თბილისში), ბანაკის მეფე და დედოფალი, შემდეგ იყო ბევრი ინდივიდუალური საჩუქრები, ნოუთბუკები, თასები. კარნავალი, ფეიერვერკი და კითხვები: შეიძლება კიდევ დარჩენა? მომავალ წელს კიდევ იქნება-ხომ მართალია?

დაგვრჩენია — დავამატოთ, რომ ეს პატარა ზღაპარი შესაძლებელი გახდა ფონდების ავი ხაი ლევაევის ფინანსური დახმარებით, ხაბაადის შალიახების და ბანაკის ხელმძღვანელების რ. მეირ და ციპორა კოზლოვსკების, პროგრამის კურატორების აჰარონ და დაიანა მდინარაძეების, რ. ბენციონ და რახელ ისრაელაშვილების, მადრიხების, მაშგიახების და კიდევ ბევრი სხვა თანამშრომლების საერთო ძალისხმევის შედეგად, რომელთა მუშაობამაც გადააქცია ეს კონცხი-ჩვენი ბავშვების-ჩვენი მომავლის სიხარულის კონცხად, ყველას დიდი მადლობა და იმედია მომავალ შეხვედრამდე .....

სიონიზმის იდეებით ნასაზრდოები

დინა დავარაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით

ეროვნული სინდისის ხორცშესხმა

ქ-ნი დინა დავარაშვილი საქართველოში ებრაული იატაკქვეშა სიონისტური მოძრაობის ორგანული ნაწილი იყო, ამ ორგანიზაციის დაარსების პირველივე წლებიდან.

რამდენადაც მახსოვს, პირველი მისი შეხვედრა ჯგუფის ყველა წევრთან აბრამ მამისთვალოვის ბინაზე მოხდა ცხინვალში. ამ შეხვედრისას სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა. ბ-ნი აბრამისა და ქ-ნ დინას გარდა ყველა ახალგაზრდები ვიყავით საკითხებისგან. ხილვაში ცოცხალი და საქმიანი მონაწილეობის გარდა ბევრ ისეთ რამეშიც დაგვმოძღვრა, ჩვენ რომ ჰაერივით გვჭირდებოდა: როგორ დავიჭიროთ თავი ამხანაგებთან, ნაცნობებთან, უცნობებთან, ქუჩაში სიარულისას და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას. იმაზეც გვესაუბრა, როგორ გამოვიცნოთ, საეჭვო პიროვნება აგვედევნა თუ არა. არც ის გამორჩა, როგორ დავიჭიროთ თავი დაკითხვებზე მილიციასა თუ უშიშროებაში. მიგვითითა გამომძიებელთა ფანდების შესახებ, გვესაუბრა ღალატსა და მეგობრობაზე.

– დეიდა დინა, ეს მომენტები ჯერ არ დამდგარა!

– არა უშავს, ადრე თუ გვიან, ეს დროც დადგება. ვინც ცეცხლს ეთამაშება, ზოგჯერ განზრახ უნდა დაიწვას ხელი – იცოდეს სიდამწვრის გემო, გამოადგება.

გვეგონა, პირველივე შეხვედრაზე ყველა საკითხი ამოვწურეთ, ბოლოს თქვა: ახლა იმაზე ვილაპარაკოთ, სახსრების საკითხს როგორ მოვუაროთ. გასავალი ბევრი გვექნება: შორეულ გზებზე მგზავრობა, წიგნებისა და სხვა მასალების ბეჭდვა და გავრცელება და კიდევ ვინ მოთვლის. მოიცათ, ყველანი ჯანმრთელები ხართ? თუ რაიმე სატკივარი გაქვთ, მითხარით. ექიმად თუ არა, მრჩევლად მაინც გამოგადგე-ბით!

დეიდა დინა სხდომებზე ყოველთვის ვერ ესწრებოდა. ის ფაქტი, რომ ბათუმში ცხოვრობდა, მის კონტაქტს ჩვენთან ერთგვარად ართულებდა. ამიტომ ორგანიზაციის რომელიმე წევრი მიდიოდა ხოლმე მასთან. ის, რომელიმე, როგორც წესი, მე ვიყავი. ბათუმში, მარტის ქ. 13-ში არაერთხელ ვყოფილვარ მასთან. ჩვენებურების სალოცავის წინ იყო მისი სახელი. შეხვედრისას ჯერ ჩვენს ამბებს მოვუყვებოდი ხოლმე, მერე თვითონ დამაკვალიანებდა თავისებურად, კარგ სუფრასაც გამიმართავდა და ისე დავცილდებოდით ხოლმე ერთმანეთს. დამშვიდობების წინ ფულს მომცემდა ხოლმე. ეს ჩემი საწევროა! – იტყოდა ხოლმე. მერე თავს ჩაქინდრავდა და ჩაილაპარაკებდა:

– მე და ჩემი მეუღლე ექიმები ვართ, ამ გასავალს გავუძლებთ როგორც იქნება. თქვენ რა უნდა ქნათ? უმრავლესობა ხომ სტუდენტები ხართ!

– ვუძლებთ ამ „საამურ" ცხოვრებას, დეიდა დინა!

– შენობიდან გარეთ რომ გახვალ, კარგად დააკვირდი გარემოს. თუ რაიმე საეჭვოს შეამჩნევ, ჩვენი დათქმული პაროლით შემატყობინე.

დეიდა დინა ჩვენი ეროვნული სინდისის ხორცშესხმა კი არ იყო მარტო, არამედ დედაც, რომლის ფრთებქვეშ მომავლის რწმენისა და იმედის ნაპერწკალი ღვიოდა ყოველთვის.

დოქტორი გერშონ ბენ ორენი (წიწუაშვილი)

მოგონება დინა დავარაშვილზე

1973 წელს ქ. ცხინვალის ებრაელთა საშუალო სკოლის მოსწავლე ვიყავი, დინა რომ გავიცანი პირადი ხელის ჩამორთმევით.

ჩვენი სკოლის ეზოში დინა მასწავლებლებთან საუბრობდა, ვიხელთე დრო და ჟურნალ „ალმანახით" ხელში მივესალმე. შემომხედა გაკვირვებით და მკითხა, „საიდან მიცნობთ"? ჟურნალის გაშვერით ვუპასუხე: აი, აქედან", ყველას მოეწონა ჩემი სითამამე და მათ სიცილს საზღვარი არ ჰქონდა.

ხშირად ჩამოდიოდა დინა ცხინვალში: ლამაზად ჩაცმული, სიტყვა პასუხიანი და სასიამოვნო გამოხედვით.

30-იანი წლები, მიუხედავად სიძნელეებისა ქართველ ებრაელთა ინტელიგენციის აყვავებისა და აღმავლობის პერიოდი იყო, რასაც ხელს უწყობდა „ღარიბკომი"-ს ფინანსური დახმარება. ამ პერიოდში გაიხსნა ებრაელთა „სტ. ეთნოგრაფიული მუზეუმები, კლუბები, სამკითხველო დარბაზები, თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები, წერა-კითხვის შემსწავლელი საზოგადოება „ლიზბეგი". ეს ყველაფერი სიონისტურად განწყობილი ინტელიგენციის თაოსნობა იყო, რომლის აქტიური და ქალთა რიგებიდან წამყვანი წევრი დინა დავარაშვილი გახლდათ.

დინა ჟურნალ „ალმანახისა" და იმ პერიოდის გაზეთების ფურცლებზე უმღეროდა და ხოტბას ასხამდა ებრაელთა მომავალს. მას სისხლში ჰქონდა გამჯდარი ებრაელი ერისადმი დიდი სიყვარული. მისი დევიზი იყო სწავლა და განათლება თავისი ხალხისა. ამიტომაც იყო, რომ 1938 წელს ებრაელთა მუზეუმის დიდ სტენდზე გამოკრულ დინას ლამაზ სურათს ეწერა: ჩვენი ერის ღირსება და დიდება.

დინას უყვარდა თავისი ერი, დიდად ხარობდა ცალკეული ადამიანების წარმატებითა და სიკეთით. იგი ყველასათვის დაც იყო, მეგობარიც. ამიტომაც იყო, რომ საპასუხოდ ქართველ ებრაელობას უყვარდა. ქალბატონი დინა უფროსი თაობის ადამიანები თუ ახალგაზრდობა მადლობელი იყო დინას კალმისა და მის პირადი მაგალითისა, რადგან იგი მისაბაძი იყო თავისი ქცევა-ყოფით.

„ოხ დიდებულო გამჩენო!

მადლობას გიხდი, რომ მეორედ დავიბადეო".

აბრამ პაპისმედოვი
ისტორიკოსი

მოგონებები დედაზე

დაუნდობლად გარბის დრო...

თან მიაქვს ჩვენი ბავშვობა, ახალგაზრდობა, სიცოცხლის წლები...

ცხოვრების ორომტრიალში ბევრი რამ კარგავს თავის ფასეულობას, ბევრიც კი, რაც უფრო დრო გადის, მეტად მნიშვნელოვანი ხდება.

გიჩნდება სურვილი არ დაფანტო ეს განძი, დროზე გადასაცე მომავალ თაობას, უამბო იმ ხალხზე, ვინც ისრაელის სახელმწიფოს დაფუძნებაზე ოცნებობდა, მზად იყვნენ ებრძოლათ როგორც შეეძლოთ, ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც კი.

ერთ-ერთი მათგანი, დედაჩემი, დინა დავარაშვილი გახლდათ. არაჩვეულებრივი პიროვნება, ადამიანი, რომელიც მთელ თავის არსებობას და მისწრაფებას, მხოლოდ ერთ იდეას უკავშირდებდა: ისრაელის სახელმწიფოს დაფუძნებას, მის აღორძინებას, თავისი ერის უსაზღვრო სიყვარულს.

ყველაფერი კი ახალგაზრდობიდან დაიწყო: 16 წლის გოგონა – დინა დავარაშვილი მისმა ახლო ნათესავმა, მორის დანიელოვმა ცნობილი სიონისტი მწერლის და საზოგადო მოღვაწის, გერცელ ბაახოვის წრეს დააკავშირა. აქ დინა სამუდამოდ გაიჟღინთა სიონისტური იდეებით, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა მის ცხოვრებაში – ახალგაზრდობიდან ღრმა სიბერემდე. თბილისში გერცელ ბააზოვის ხელმძღვანელობით შექმნილი იყო „ღარიბკომი", რომლის მიზანი იყო ღარიბ ებრაელთათვის სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენა. ერთ-ერთი მთავარი მიზანი კი, საგანმანათლებლო მუშაობა გახლდათ. წერა-კითხვის უცოდინართათვის განათლების მიღების ინტერესის გაღვიძება.

ახალგაზრდა გოგონა, დინა დავარაშვილი აქტიურად ჩაება წრის მუშაობაში. თავდადებით და პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ყოველ დავალებას.

ამავე დროს გამოდიოდა გაზეთი „ხმა ებრაელისა", რომელშიც იბეჭდება ახალგაზრდა ებრაელი მწერლების და პოეტების ნაწარმოებები. მათ შორის დინა დავარაშვილის ლექსები და პატარ-პატარა მოთხრობები. იხსნება დრამატული წრეები. ახალგაზრდობა ჩართულია ებრაელთა კულტურის ცენტრის, შემდგომ კი ცენტრში ებრაელთა ეროვნულ მუზეუმის მუშაობაში.

ამასთანავე, „ღარიბკომი" ხელს უწყობს ნიჭიერ ებრაელ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მიღებაში.

ბევრმა ახალგაზრდა ებრაელმა, მაშინ, მათი მეშვეობით შეაღო უმაღლესი სასწავლებლის კარი. მათ შორის დინა დავარაშვილიც გახლდათ.

„ღარიბკომმა" რეკომენდაცია მისცა ნიჭიერ გოგონას, სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად.

ინსტიტუტში შესვლა საბედისწერო აღმოჩნდა დინასთვის. პირველ კურსზევე მას დაუახლოვდა ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი, ბინიამინ ბოთერაშვილი. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ. ის სიყვარული პირველ კურსზევე ქორწინებით დაგვირგვინდა. შეიქმნა სტუდენტური ოჯახი. ინსტიტუტის დამთავრებამდე მათ უკვე ორი შვილი ჰყავდათ: ბორია და ცირა.

მაგრამ, ამ გარემოებამაც კი დედას ხელი არ შეუშალა გერცელ ბააზოვის წრესთან თანამშრომლობაში.

იმ დროისათვის გამოდის გერცელ ბააზოვის რედაქტორობით „ლიტერატურული ალმანახი"-ს პირველი ნომერი, რომელშიც დ. დავარაშვილის ხუთი ლექსია წარმოდგენილი. მეორე ნომერს კი, სამწუხაროდ, დაბადება აღარ ეწერა.

30-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო საშინელი რეპრესიების პერიოდი. ჟურნალი დაიხურა. მის რედაქტორს, გერცელ ბააზოვს, ტრაგიკული ბედი ეწია – დახვრეტა მიუსაჯეს, სინამდვილეში კი, წამებით მოკლეს.

ასე ტრაგიკულად დაასრულა თავისი სიცოცხლე, იმ ნიჭიერმა ახალგაზრდამ, ერის ღირსება, თავისი ერისთვის ჩირაღდანივით ანთებულმა, ჩირაღდანივით რომ დაიწვა.

სწორედ იმ წლებში ჩემმა მშობლებმა, ინსტიტუტი დაამთავრეს. სამუშაოდ და საცხოვრებლად აჭარას მიაშურეს (ეს კი მამაჩემის გადაწყვეტილება იყო, რაზეც შემდგომში მოგეხსენებათ).

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ დიდი პატივით მიიღო ახალგაზრდა ექიმების ოჯახი. (მაშინ ექიმები ყველგან ჭირდა), ყველანაირად ხელი შეუწყეს მშვენიერი საცხოვრებელი ბინით და კარგი სამსახურით.

მამამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა, თერაპიულ განყოფილებაში, სადაც პენსიაში გასვლამდე მუშაობდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ აჭარაში, როგორც პრაქტიკოსი ექიმი.

ჩვენი სადარბაზო მუდამ გაჭედილი იყო მამაჩემის პაციენტებით. იგი მათ ხიბლავდა თავისი მიდგომით და გააზრებული, სწორი მკურნალობით.

დედამ მუშაობა ტუბ დისპანსერში დაიწყო. მას ხშირად უწევდა აჭარის მაღალმთიან რაიონებში მივლინება. (მაშინ იქ საშინელი სენი – ტუბერკულოზი მძვინვარებდა) და დედა, მისთვის ჩვეულებრივი ენთუზიაზმით, დაუზოგავი ენერგიით და მონდომებით, უწევდა მოსახლეობას მკურნალობას და საგანმანათლებლო მუშაობას, რითაც დიდ სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებდა ხალხში.

შემდგომ წლებში კი ტუბ საავადმყო-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

”ქართველ ებრაელთა ისტორიის” ავტორი

ისტორიის ჩაღრმავებული მკვლევარი

მინდა განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო ცნობილი ისტორიკოსის,ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის,პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის მიმართ.

შესანიშნავი მეცნიერი საქართველოს ისტორიის ჩაღრმავებული მკვლევარი,კარგი მედიევისტი და წყაროთმცოდნეა.ბატონმა ელდარმა თავისი მეცნიერული კვლევებითა, თუ პედაგოგიური მოღვაწეობით (იგი გორის უნივერსიტეტის პროფესორია), მნიშვნელოვანი ავტორიტეტი მოიპოვა,რამაც განაპირობა კიდეც ქართული სამეცნიერო საზოგადოების მისადმი პატივისცემა.

გულწრფელად ვულოცავ ბატონ ელდარს დაბადების 70 წლისთავს.წინ დიდი გზა ავისურვებდი ეს გზა ახალი წარმატებული ნაშრომებით,შემოქმედებითი გამარჯვებებით იყოს აღსავსე.

როინ მეტრეველი

ბატონო ელდარ!

გილოცავთ საიუბილეო თარიღს. თუმცა, წლების მომატება დიდად სასიამოვნო ვერ არის, მაგრამ რადგან გარდაუვალია, პიროვნებამ ისე უნდა განვლოს, რომ უკან მოხედვის უფლება ჰქონდეს. თქვენ ეს უფლება გაქვთ. გორის უნივერსიტეტში თქვენი მრავალწლიანი მუშაობა, ყოველთვის ახალგაზრდა თაობის პროფესიონალებად და მათი მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიზანს ისახავდა. ამ კეთილშობილურ საქმეს დღესაც ემსახურებით.

თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემების კვლევას ეძღვნებოდა და ეძღვნება. ესაა ქართველთა უფლებრივი მდგომარეობის გარკვევა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიაში, უცხოელ ავტორთა ცნობების გამომზეურება, შესწავლა „აფხაზთა“ შესახებ, რითაც დასტურდება, რომ ეს ცნობები ეკუთვნით იმათ, ვინც თავის თავს „აფსუას“ უწოდებენ და რომელთაც ქართველებმა „აფხაზი“ უწოდეს, რადგან ისინი უძველეს ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში — აფხაზეთში დასახლდნენ.

ამ და რიგ სხვა, თქვენს მიერ შესწავლილ პრობლემებს თავისი საპატიო ადგილი აქვთ ქართულ ისტორიოგრაფიაში. იმედია და სასურველია, რომ თქვენი მოღვაწეობა, როგორც პედაგოგის და მეცნიერის, კიდევ დიდხანს გაგრძელდეს ქართული ეროვნული მეცნიერების სასარგებლოდ.

გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილ მომავალს.

პატივისცემით
მარიამ ლორთქიფანიძე

ელდარ მიხეილის ძე მამისთვალიშვილი

დაიბადა 1939 წლის 27ივლისს ქ. გორში, ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1983), პროფესორი (1985).

1972 წლიდან მუშაობს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1985-1986 წლებში იყო პედაგოგიკის კათედრის გამგე, 1990 წლიდან—საქართველოს და მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე.

ე.მამისთვალიშვილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი,

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მონოგრაფიები:

1. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), „მეცნიერება“, თბ., 1981 (ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე),

2. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, „მეცნიერება“, თბ., 1981.

3. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. 1577-1581. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, „მეცნიერება“, თბ., 1987.

4. რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ. ესპანურიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, „მეცნიერება“, თბ., 1992.

5. გორის ისტორია, I (1801 წლამდე), „მეცნიერება“, თბ.,

6. ქართველ ებრაელთა ისტორია (ანტიკური და ფეოდალიზმის ხანა), „მეცნიერება“, თბ, 1995 (ვრცელი რეზიუმე გერმანულ ენაზე)

7. ამილახვრები, გორი, გამომც. “ქართლი”, 1996

8. ქართველები და ბიბლიური სამყარო, გამომც. “ქართლი”, გორი, 1998

9. გორის ისტორია, II (1801-1921), “ქართლი”, გორი, 1999

10. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი), გამომც. “ქართლი”, გორი, 2002 (ქართულ და ინგლისურ ენებზე)

11. ქრისტეს კვართის ისტორია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003 (ქართულ და რუსულ ენებზე)

12. საქართველო - იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), გამომც. „არტანუჯი”, თბ., 2008

13 . მეფე სვიმონ I, თბ., 2009 14. საქართველოს საგარეო ურთიერთობანი და დიპლომატია, I (XV-XVI სს), გამომც. ”მერიდიანი”, თბ., 2009

მეცნიერი და პატრიოტი

ბატონი ელდარ მამისთვალიშვილი გავიცანი, როდესაც “სვობოდნაია გრუზიას” რედაქტორი ვიყავი. მე ყოველთვის არასრულყოფილად მიმაჩნდა უბრალო ლაპარაკი ებრაელთა ცხოვრებაზე, თუნდაც უპრობლემოზე, ჩვენს მინაზე ოც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ან ჩვენს მეგობრობაზე, ან თუნდაც იუდეო-ქრისტიანულ ძირებზე. ჩემთვის ჩვენი ისტორიის ეს ფრაგმენტი მხოლოდ ასე ჟღერდა: ქართველი ებრაელები ჩვენს ნაწილს წარმოადგენენ და იყო დრო, როდესაც ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ ჩვენი ისტორიის (ცივილიზაციის, მენტალიტეტის და ა.შ) შექმნაში. სტატია, ისტორიოგრაფიული ხასიათისა, რომელიც მაშინ ელდარ მამისთვალიშვილმა მოიტანა, სწორედ იმას ეხებოდა, რომ ებრაელები საქართველოში სრულიად ბუნებრივად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ როგორც საზოგადოების ორგანული შემადგენელი.

ამის გახსენება სულაც არ არის ზედმეტი, რადგანაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ვერაფრით ვახერხებთ ჩვენი ისტორიული თუ თანამედროვე მიღწევების პროპაგანდას (მინუსები, გაბერილი და ჰიპერბოლიზებული, ასევე – გამოგონილი, ჩვენი ავისმოსურნეების წყალობით საყოველთაოდაა ტირაჟირებული). მე ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, რომ ისრაელშიც კი (ქართულ თემს არ ვგულისხმობ) დღეს ყველამ კარგად და აქტიურად იცის საქართველოში ჩვენი თანაარსებობის უნიკალური (სხვა ქვეყნებისგან განსხვავებული) ისტორია და, სადაც საჭიროა, ითვალისწინებს ამას.

ჩვენ ასევე ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ სრულყოფილად აღვადგინოთ და ყველას გავახსენოთ ჩვენი ის მნიშვნელოვანი ადგილი გლობალურ ისტორიაში (ასევე – პრეისტორიაში), რომელიც რაღაც ძალების კონსოლიდირებული მეცადინეობით დღეს მიჩქმალული და დამცრობილია. ელდარ მამისთვალიშვილი აქაც ის მოღვაწეა, რომლის დამსახურება ხაზგასმული დაფასების ღირსია. გავიხსენოთ თუნდაც მისი ცნობილი ნაშრომები იერუსალიმში არსებული (და დღეს წართმეული) ოცდაათამდე ქართული ეკლესია-მონასტრის შესახებ; ან იმის შესახებ, რომ ჩვენი წინაპრები დიდი ხნის მანძილზე ფლობდნენ გოლგოთისა და მაცხოვრის საფლავის გასაღებს და სხვ.

ბატონი ელდარ მამისთვალიშვილი ღვაწლმოსილი მეცნიერია და ეს ჩვენი საზოგადოების მიერ აღიარებულია. ამასთან, იგი ჩვენი ქვეყნის ღვაწლმოსილი პატრიოტია – მეცნიერება და პატრიოტიზმი ერთმანეთს ნამდვილად არ გამორიცხავს.

სულითა და გულით ვულოცავ ბატონ ელდარს სახელოვან იუბილეს და ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც 70 წელი მხოლოდ იმ გამოცდილების საზომია, რომელიც ახალი მეცნიერული წარმატებებისთვისაა საჭირო.

აპოლონ სილაგაძე
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი

ძმაო ელდარ! გამიჭირდა დაჯერება, როდესაც შევიტყვე, რომ შენ უკვე სამოცდაათი წლისა ხარ, ყოველთვის ასე ენერგიითა და, რაც მთავარია, ახალი მეცნიერული გეგმებითა და იდეებით აღსავსე! როგორც იტყვიან, “ჯერ თავო და თავოო”, და მეც უპირველესად იმ ვეებერთელა საქმეს მინდა გავუსვა ხაზი შენმიერს, “საქართველოს ებრაელთა ისტორია” რომ ჰქვია. დღეში იმდენჯერ ვიხედები ამ წიგნში, რომ ფურცლები გაეცრიცა. ალბათ, მიხვდები გადაკრულ ნათქვამს: ახალ ვარიანტს მოველით შენგან – უფრო ვრცელსა და მეტი ისტორიული ეპოქის მომცველს, თუმც კი ამ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნის თუნდაც განმეორებითი გამოცემა არ გვაწყენდა. მაგრამ მხოლოდ ეს ხომ არ არის, საქართველოს ისტორიის სპეციალისტებს შეუძლიათ მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევის ჩამოთვლა, შენ რომ მიუძღვენი საქართველოს ისტორიის ფრიად საინტერესო საკითხებს, შენს მრავალრიცხოვან სტუდენტებს კი შეუძლიათ სიამოვნებით გაიხსენონ შენს მიერ საოცარი ეშხითა და სიღრმით წაკითხული მრავალზე მრავალი კურსი თუ ცალკეული ლექცია. ჩვენებური, ივრითული დალოცვით დაგლოცავ:

“ლეხაიმ!” და “ად მეა ვესრიმ!”

არა მგონია, გადათარგმნა გჭირდებოდეს, მაგრამ მკითხველთათვის ქართულადაც გავიმეორებ:

“მრავალჟამიერ!” “ას ოც წლამდე სიცოცხლეს გისურვებ!”

შენი რეუვენ ენოხი
(ამასაც ვთარგმნი: რუბენ ენუქაშვილი)

ელდარ მამისთვალიშვილი 70 წლისაა

ქართველი ებრაელობის სასიქადულო შვილი

ჩვენი თემის გამორჩეულ პიროვნებას, ცნობილ ისტორიკოსს, პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილს 70 წელი შეუსრულდა.

ელდარს ბავშვობიდან ვიცნობ. ქართველი ებრაელობა გორის ციხის ძირში, ჩიტის ბუდესავით პაწაწა ადგილას ცხოვრობდა. იქ გაიარა ჩვენმა ბავშვობამ. მოგვიანებით იქ გაზრდილმა არაერთმა პიროვნებამ ისახელა თავი. მათ შორის, პირველ რიგში, ელდარ მამისთვალიშვილი უნდა დავასახელო. თუმცა, მე და ელდარი, შემდეგ უკვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში "დიამეტრალურად საწინააღმდეგო" (ელდარი ისტორიის, მე— ფიზიკის) ფაკულტეტზე ვსწავლობდით, გვქონდა შეხვედრები და საინტერსო საუბრები. ელდარმა მუდამ დინჯად და დაკვირვებულად იცოდა საკუთარი აზრის გადმოცემა..

გაიარა წლებმა და იგი სერიოზულ მკვლევარ მეცნიერად ჩამოყალიბდა. რამდენად საამაყოა, რომ მისი სამეცნიერო შრომები ჩვენი თემის ისტორიას, ებრაელი და ქართველი ხალხების ურთიერთობის შესწავლას ეხება. პატივი მაქვს, ვიცნობდე ბევრ ქართველ ისტორიკოსს, მომისმენია მათი პროფესიული აზრი ელდარ მამისთვალიშვილის, როგორც მკვლევარის, მოღვაწეობის თაობაზე – მისი შრომები გამოირჩევა ორგინალური გააზრებითა და წამოყენებული კონცეფციის ღრმა,ამომწურავი არგუმენტაციით, ასეთია კოლეგების პირუთვნელი შეფასება.

რაც შეეხება მის მონოგრაფიას ,,ქართველ ებრაელთა ისტორია", იგი ბევრი ჩვენგანის სამაგიდო წიგნი გახდა.

ჩვენი საზოგადოება პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილისგან კვლავაც საინტერესო გამოკვლევებს მოელის.

ჩემო ელდარ, ღმერთი შენთან ყოფილიყოს ამ საშვილიშვილო საქმეში!

პროფესორი დავით ბააზოვი
თელ-ავივი, ისრაელი

პროფესორი ელდარ მამისთვალიშვილი იმ ქართველ მეცნიერთა რიგებს ამშვენებს, რომელნიც საოცარი ჰარმონიულობით უთავსებენ ერთმანეთს ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას, პედაგოგიურ მოღვაწეობას და აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელშიც არაერთი ათეული წლის განმავლობაში იმკვიდრებდა ადგილს რესპუბლიკის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს შორის, იქცა მომავალი მეცნიერის, მკვლევარის აღმზრდელად და შემდეგ იმ მეცნიერულ კერად, რომელშიც პროფესორმა ელდარ მამისთვალიშვილმა არაერთი ღირებული ნაშრომი შეიქმნა.

ბატონი ელდარი მრავალმხრივ ნაყოფიერი მეცნიერია. მეცნიერული სიღრმითა და აქტუალობით გამორჩეულ მის მონოგრაფიებს გვერდს ვერ აუვლის მსოფლიო თუ საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი. ქართველებისა და ებრაელების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს ბატონი ელდარის მეცნიერული კვლევის ფართო არეალი, რომელსაც მზის სინათლეზე გამოაქვს ქართველი ებრაელების ისტორია, გორის მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების არაერთი საინტერესო დეტალი, საქართველოს ევროპის საელმწი-ფოებთან ურთიერთობის პერიპეტიები და სხვა. მეცნიერი, ვისთვისაც ერთნაირად ძვირფასია ორი ერის ისტორია კვლავ შემართებით ხვდება იუბილეს. პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილით იამაყებდა ნებისმიერი ცნობილი უმაღლესი სასწავლებელი, ამაყობს გორის უნივერსიტეტიც, რომელიც უერთდება სამეცნიერო საზოგადოებას და იუბილეს ულოცავს მას.

ბატონო ელდარ, გილოცავთ იუბილეს. 70 წელი თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობის მხოლოდ მწვერვალია, გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, სამეცნიერო წარმატებებს. ისტორიის არაერთი ფურცელი კვლავ ელის თქვენს მეცნიერულ ალღოს და დიდ გამოცდილებას, რათა მომავალ თაობებს უამბოთ მათზე.

უღრმესი პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით,
ზაზა ცოტნიაშვილი
გორის უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

ვულოცავ სახელოვან მეცნიერს, დიდებულ მამულიშვილს, საზოგადო მოღვაწეს, სპეტაკ, ვაჟკაც და ღამაზ პიროვნებას — ბატონ ელდარ მამისთვალიშვილის დაბადების საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ მრავალჟამიერ (120 წლამდე) მხნეობას, ღვაწლთა გამრავლებას საქართველოს, ქართველთა (ქართველთა და ქართველ ებრაელთა) მრავალსაუკუნოვანი ისტორიის წარმოსაჩენად და სადიდებლად.

ჩემო ელდარ,

ძვირფასი ბრძანდები ჩემი გულ-სულისათვის, როგორც მეგობარი...

ეს მეგობრობა არ დაწყებულა მხოლოდ ამ 20-ოდე წლის წინ, როდესაც ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციას ვაარსებდით...

ახლახან, ერთ ისტორიულ საარქივო წყაროში მივაკვლიე საინტერესო დოკუმენტს — ჩემი წინაპარი XIX საუკუნეში თავისი მამულების თაობაზე მამისთვალიშვილს იმოწმებს... ამ 150-ოდე წელს მე კიდევ წინარე მრავალსაუკუნესაც დავუმატებდი ქართველთა და ქართველ-ებრაელთა თანაცხოვრების ისტორიიდან და მომავალ ზეციურ განზომილებაში ჩვენს ძმაკაცობასაც — იქ კი არ დაგვჭირდება ხანგრძლივად სატელეფონო საუბრები ქართლის გულს — გორსა და საქართველოს დედაქალაქს — თბილისს შორის საქართველოს, საისრაელოსა და მსოფლიოს საჭირბოროტო საკითხებზე... იმ, მეტაფიზიკურ განზომილებაში ჩვენი ურთიერთობის ფორმა სხვა იქნება, თემატიკა, ბუნებრივია, იგივე და ჩვენი მეგობრობა — მარადიული...

დამილოცნიხარ „გორული მწვანეთი" შენი ღამაზი ცოლ-შვილით!

იხარე, იდღეგრძელე მრავალჟამიერ...

შენი გივი ღამბაშიძე
დავით ბაზოვის სახელობის
საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის დირექტორი;
ქართულ-ებრაულ
ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი

ჩემო ელდარ,

სულითა და გულით გილოცავ საიუბილეო თარიღს, გისურვებ კიდევ მრავალ წელს სიცოცხლეს, ჯანსა და უნარს, რათა კვლავაც დიდხანს ერთგულად ემსახურო ქართულ მეცნიერებას, შენს ორ სამშობლოს — საქართველოსა და ისრაელს, შენს ორ ხალხს — ქართველებსა და ებრაელებს.

ბედნიერი კაცი ხარ, ელდარ. ზოგს ერთი სამშობლოც არა აქვს, შენ ორი გაქვს — ისტორიული და ფაქტიური; ზოგს ერთი სამშობლოც არ იცნობს, შენ ორივე გიცნობს; ზოგი ერთ სამშობლოსაც ვერ უხდის თავის ვალს, შენ ორივეს წინაშე პირნათელი ხარ; ზოგს ერთი მიწაც არა აქვს საბოლოო განსასვენებლად, შენ, რა თქმა უნდა დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ ორივე, რომელსაც შენ აირჩევ, სიხარულით მიგიბარებს.

კიდევ ერთ დიდ ბედნიერებას ატარებთ შენც და სხვა შენი თანამოძმენიც თქვენს გულში. ზოგს აქვს ორი სამშობლო, მაგრამ ურჩევნია არც ერთი არა ჰქონდეს, თუკი ისინი ერთმანეთის მტრები იქნებიან. შენ ისტორიკოსი ხარ, სწორედ ამ დარგის სპეციალისტი, და კარგად იცი, რომ ოცდაექვსი საუკუნის მანძილზე შენ ორ მშობლიურ ხალხს შორის ერთი წუთიც კი არა ყოფილა რაიმე გაუგებრობა, მით უფრო მტრობა; ერთი წუთიც კი არა ყოფილა ისეთი, რომ დავიწყება გინდოდეს, გახსენებისა.

შენ ჩემზე უმცროსი ხარ, მაგრამ ჩვენ დიდი ხანია პარალელურად მოვდივართ, ხან ჩვენი გზებიც იკვეთება. კარგად მახსოვს მრავალი წლის წინ ჩვენი ერთად ყოფნა და მუშაობა ლენინგრადში. შენ მაშინ საქართველოს შესახებ ევროპულ წყაროებს სწავლობდი. მახსოვს როგორი გატაცებით მუშაობდი, როგორი ხალისით მიყვებოდი ყველა ახალი ცნობისა და ახალი დაკვირვების შესახებ. გისურვებ, ჩვენს ძნელ დროშიც შეგენარჩუნებინოს მაშინდელი ახალგაზრდული გატაცება, ხალისი და ინტერესი.

მეგობრული პატივისცემით,
ზაზა ალექსიძე
12.08.09

კაცი, რომელმაც ისტორია დაგვიწერა

თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა შორის ელდარ მამისთვალიშვილს თავისი ადგილი უჭირავს. ეს ადგილი დაუღლელი, პროფესიული შრომით დაიმსახურა — რამდენიმე ისეთი პრობლემა გამოიკვლია და ისე გამოიკვლია, რომ არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე ქართველი ისტორიკოსები მის გვარ-სახელს თუ როგორი პატივისცემით წარმოსთქვამენ. ეს სწავლულის პროფესიულ ღირსებაზე მეტყველებს.

შარშან ხუთდღიანი ომის დღეებში გორი რომ იბომბებოდა, რასაკვირველია, ელდარი მოვისაკლისე. გორიდან ლტოლვილ ებრაელთა შორის არ იყო, შინ დავურეკე. სხვათა შორის დავრეკე, როგორ ვიფიქრებდი, კასეტური ყუმბარების ცვენისას გორს თავს არ გაარიდებდა და თავის სახლში მეციხოვნესავით ფეხმოუცვლელად იჯდებოდა. ყურმილი თავად აიღო და ლამის ვიყვირე, მანდ რა გინდა, ომს რატომ არ გაეცალე-მეთქი.

— აბა, სად უნდა ვიყო? — სიცილით მომიგო — ცოლ-შვილი კი გავარიდე და...

ყოველდღე ვრეკავდი, შინ იჯდა, სიბნელეში, ყუმბარების ყელყელაობაში მუშაობდა საქართველოს მეისტორიე.

იმ დღეებში შევარქვი გორელი მეციხოვნე.

— აბა, ჩემი ქვეყანა ეს არის და... რაც ღმერთს უნდა, ის იქნება! — მეტყოდა ხოლმე და დასძენდა — ან სხვების ნაწერებში რატომ უნდა მეძებნა, თუ რა ხდებოდა იმ დღეებში ჩემს ქალაქში.

იოსებ ფლავიუსიდან მოყოლებული ალბათ, ის ჟამთაღმწერელებიც ეგრე იქცეოდნენ, რომელთა ჩანაწერების მიხედვით დღეს ისტორიას წერენ.

ელდარი ნამდვილი მეცნიერი და მოკრძალებულობით გამორჩეული კაცია, მის ადგილას სხვა თავს წაგვჭამდა, ესა და ეს მიკეთებია, ესა და ეს დამიწერიაო, ის კი ზის და თავის საქმეს აკეთებს და როგორც მისივე კოლეგები ამბობენ, ძალიან კარგად აკეთებს. კრიტერიუმი კი კოლეგების აზრია და არა ისტორიის მოყვარულებისა.

განა, ყველაფერი ეს საკმარისი არ არის იმ პატივისცემისთვის, რომელსაც მიაგებენ? რასაკვირველია, არის. ჩვენ კიდევ უფრო მეტი, სერიოზული მიზეზი გვაქვს ძალიან დიდ პატივს ვცემდეთ ელდარ მამისთვალიშვილს, გვაინტერესებდეს მისი ყოფა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელსაც ვუწყობდეთ მუშაობაში, რადგან ის, რასაც ელდარი აკეთებს, ყოველ ჩვენგანს ეხება, ყოველი ჩვენგანის საქმეა — ამ კაცმა ქართველ ებრაელთა ისტორია დაგვიწერა. თითო-ოროლა ნარკვევი თუ აქვთ დაწერილი და ჩაგვძახიან ცნობილი მეცნიერი ვარ და თქვენც ასე გაიმეორეთო, სამეცნიერო ხარისხსაც ისე წაავლებენ ხელს, თითქოს მაიდანში გოგირდის წყალთან ერთად მოჩუხჩუხებდეს.

ელდარ მამისთვალიშვილმა კი სხვა ჩინებულ შრომებთან ერთად ქართველ ებრაელთა ისტორია დაწერა.

არ შემიძლია ელდარ მამისთვალიშვილს მადლობა არ ვუთხრა იმის გამო, რაც საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის გაუკეთებია, მისი პატივისცემა თან არ დამდევდეს იმის გამო, რომ ქართველ-ებრაელთა ისტორია დაგვიწერეა.

ცხოვრება იცვლება, გლობალიზაცია სულ სხვა ორიენტირებს გვისახავს და ჩვენნაირი მცირე ეთნიკური ჯგუფების მომავალს ბურუსში ხვევს — არავინ იცის ხვალ როგორი დამოკიდებულება ექნებათ ცნებისადმი ქართველი-ებრაელი, მ აგრამ მე მაინც მჯერა, რომ მომდევნო თაობათა შორის გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებსაც ექნებათ სურვილი გამოიკვლიონ ქართველ ებრაელთა ყოფა, დაწერონ ახალი ისტორია ხალხისა, რომელიც 2600 წელი ცხოვრობდა სამშობლოდან ძალიან შორს, მაგრამ თავისი ცხოვრების წესით, თავისი მრწამსით მაინც შინ იყო — ესეიგი დაიწერება ახალი და კარგი წიგნები ქართველ ებრაელთა ისტორიისა, ელდარის ნაშრომს კი ვერავინ აუქცევს გვერდს — წყალნი წავლენ და წამოვლენ, ელდარი კი არის და დარჩება იმ პირველ ისტორიკოსად, რომელმაც ქართველ ებრაელობას თავისი წარსული წააკითხა.

ჩემს ერთ სურვილსაც გაგიმხელ, ჩემო ელდარ: მინდა ჯანმაგარი, დღეგრძელი გყოს ღმერთმა, შენ ხომ ერისთვის არაფერი მოგითხოვია, მის წარსულზე (ე.ი. მომავალზეც) გიზრუნია, ისე, როგორც ამას უნდა აკეთებდეს კაცი. დაე, შენი ჯილდო შენივე ჯანმრთელობა იყოს, მაგრამ უქმად კი არ იჯდე, ის მინდა, თმადათოვლილი ელდარი ქართველ ებრაელთა ისტორიის ახალ, შევსებულ, ებრაული რეალიებით გამდიდრებულ გამოცემას ამზადებდეს.

იცი, რამდენი ელოდება ამ ახალ გამოცემას?

ასე რომ წინ, საქართველოს ებრაელობის წარსულისაკენ, ჩემო ელდარ ერისთვალიშვილო!

გურამ გათიაშვილი

ფოში განყოფილების გამგედ მუშაობდა პე-ნსიაზე გასვლამდე.

მიღებული ჰქონდა მრავალი წარჩინების სიგელი და მედალი, გამოქვეყნებული ჰქონდა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი თავის დარგში, აღიარებული იყო საქართველოს დამსახურებულ ექიმად, პერსონალურ პენსიონერად.

ჩემი მშობლების შესახებ საბუთები, როგორც აჭარის საპატიო პენსიონერებისა, ახლაც ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

ამაზე ბევრი დაიწერა და დაიწერება. მაგრამ ამხანად ხაზგასმით მინდა ვისაუბრო დედას სიონისტურ მოღვაწეობაზე.

როდესაც ბათუმს მიემგზავრებოდნენ, მამა, რა თქმა უნდა, ფიქრობდა, რომ დედას სამუდამოდ ჩამოაშორებდა. თავის სიონისტურ მოღვაწეობას, რათა საშიროება აეცილებინა თავისი ოჯახისათვის.

მაგრამ შემდგომში ცხოვრებამ აჩვენა, რომ იგი სასტიკად ცდებოდა, ის სიონისტური მისწრაფება, რაც დედას გულში ტრიალებდა, სამუდამო აღმოჩნდა.

რა შეეძლო გაეკეთებინა იმ ვითარებაში, ერის პატრიოტ ადამიანს? რა თქმა უნდა, ავტომატებით ხელში არ ხოცავდნენ ანტისემიტებს, ვერ ებრძოდნენ რეალურ რეპრესიულ რეჟიმს, მაგრამ იყენებდნენ ბრძოლის სხვადასხვა საშუალებებს.

ბათუმში დედა უახლოვდება აშქენაზების სიონისტურ ჯგუფს. ბევრი მათგანი რუსეთიდან იყო გადმოხვეწილი იქ მძვინვარე ანტისემიტიზმის გამო, და აპირებდნენ გემით საზღვარგარეთ გახვეწას, მაგრამ საზღვარზე მათ უკვე დაშვებული „რკინის ფარდა" დახვდათ.

იმ წლებში უკვე დაწყებული იყო რადიო „ქოლ ისრაელის" გადაცემები რუსულ ენაზე ისრაელიდან, მაგრამ ეს გადაცემები საშინელი დახშობით მიმდინარეობდა, რათა ხალხს ვერ მოესმინა.

ეს აშქენაზები კი, რაღაც ხელსაწყოებით ახერხებდნენ ამ გადაცემებით ისრაელის ახალი ამბების მოსმენას და ამ ინფორმაციას დედას აწვდიდნენ.

დედა კი ამას ავრცელებდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში „ნათესავებთან" საუბრის დროს, და ანდობდა საიმედო პირებს: ისინი კი, რა თქმა უნდა, გადასცემდნენ უფრო ფართო საზოგადოებას.

ეს, ვითომდა უმნიშვნელო აქცია, იმ დროისთვის ყოველგვარ საზღვარგარეთულ ინფორმაციას მოწყვეტილ ხალხში, აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებას და ფრთებს ასხამდა სანუკვარ საუკუნებრივ ოცნებას – ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში დაბრუნებისა.

არ შეიძლება აქვე, ხაზგასმით არ აღვნიშნო, რომ სწორედ საქართველო იყო ის ქვეყანა, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, რუსეთის გარდა, სადაც ძალიან აქტიური ბრძოლა დაიწყო ისრაელში ამოსვლის უფლების მოსაპოვებლად. ეს კი, რა თქმა უნდა, იმ ხელშესაწყო გარემოებით ხდებოდა, რომ საქართველოში ყველაზე, ნაკლებად იგრძნობოდა ანტისემიტიზმი.

ქართველი და ებრაელი ხალხი, ძმურად, ურთიერთპატივისცემით ცხოვრობდნენ 26 საუკუნე, და ის მეგობრობა და ურთიერთსიყვარული ქვეყნისა, სადაც ჩვენ დავიბადეთ და გავიზარდეთ, დღემდე გრძელდება.

შექმნილმა ვითარებამ დიდად შეუწყო ხელი მოძრაობას სიონისკენ, რომელიც საქართველოში დაიწყო. გავიხსენოთ: 18 ოჯახის წერილი, დემონსტრაციები, საპროტესტო შიმშილი, რომელსაც ქართველი ებრაელები აწყობდნენ და დიდი როლი ითამაშეს ცნობილი „რკინის ფარდის" გარღვევაში და, საბჭოთა კავშირიდან დიდი „ალიის" დაწყებაში.

რა თქმა უნდა, დედა არც პირველი და არც ერთადერთია, მათ შორის, ვინც იმ იდეებს ემსახურებოდა, მაგრამ ამაყად შემიძლია განვაცხადო, რომ მან დასდო ერთი აგური, რომელიც იმ შენობის ასაგებად იყო საჭირო და ეს მაშინ, როცა ერთი გაუთვალისწინებელი სიტყვა, ან საქციელი მთელ ოჯახს დაღუპავდა.

ანტისემიტიზმი მძვინვარებდა მთელ საბჭოთა კავშირში, სიტუაცია წლიდან წლამდე იძაბებოდა.

50-იანი წლები. დაიწყო სტალინის მკურნალი „ექიმების საქმე". ამ ექიმების დიდი უმეტესობა ებრაელები იყვნენ. მთელ ქვეყანას მოედო საშინელი ანტისემიტიზმი. ერთ ავადსახსენებელ ღამეს ჩვენ სადარბაზოსთანაც გაჩერდა ეგრეთწოდებული „შავი ყორანი". მანქანა, რომელითაც პოლიტიკური პატიმრები „კგბ"-ში მიჰყავდათ. ოჯახში მოაწყეს ჩხრეკა. ყველაფერს იატაკზე ყრიდნენ. ეძებდნენ ნაწერებს, წიგნებს, სიონისტური მიმართულების ლიტერატურას. დედა წაიყვანეს.

საშინელი სუსხიანი ზამთრის ღამე იყო. დედას წესიერად, თბილად, ჩაცმაც არ აცალეს. მასთან ერთად იმავე ღამეს, დაპატიმრებული იყო მთელი მათი იატაკქვეშა ჯგუფი. სამი დღე და ღამე პატიმრობაში ჰყავდათ. მამა გიჟდებოდა. სამი დღე და სამი ღამე არ გვიძინია. არავინ არ იცოდა, რა ელოდა დედას, რა ელოდა მთელ ოჯახს.

მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ჯგუფი წინასწარ შეთქმული იყო: საშიშროების დროს ეთქვათ, რომ ჩვენ ოჯახში მხოლოდ სამკურნალოდ დადიოდნენ. ზოგი მამასთან, ზოგი დედასთან. იმ დროისთვის ჩემი მშობლები უკვე საკმაოდ სახელოვანი ექიმები იყვნენ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო პატიმრების განთავისუფლებას, მაგრამ ისინი ყველანი სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ

მიხეილ ჯანაშვილის ნახატების გამოფენაზე

იყვნენ. ოჯახიდან კონფისკირებული იყო უნიკალური ბიბლიოთეკა. ებრაული ენციკლოპედიის 12 ტომი (1904 წლის გამოცემა), „გამოჩენილი ებრაელები", 3 ტომი, ლამაზად გაფორმებული წიგნები, ილუსტრირებული სახელოვანი ებრაელი მხატვრების რეპროდუქციებით. მაშინ მე, გოგონას, საათობით მიტაცებდა იმ სურათების დათვალიერება, მხიბლავდა მათი შინაარსი და სილამაზე.

ერთადერთი პიროვნება, რომელიც მაშინ იმ წიგნებში გამოვიცანი, იყო კარლ მორდეხაი მარქსი", არც ვიცოდი, რომ იგი ებრაელი იყო.

ჩვენს ოჯახში ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი პიროვნებები: მამისთვალოვი, მორის დანიელოვი, აბრამ მამისთვალოვი და სხვები.

ჩემს ბავშვურ მეხსიერებას ნათლად შემორჩა ერთი შაბათი. დედ-მამას ოჯახში საპატიო სტუმრის მისაღები ფუსფუსი ჰქონდათ, მე და ჩემი ძმა ბორია მაშინ ბავშვები ვიყავით, მაგრამ მაინც ვგრძნობდით, რომ ვიღაც ძალიან პატივსაცემი სტუმარი უნდა გვწვეოდა.

მართლაც, პარასკევ საღამოს, ლოცვის გამობრძანების შემდეგ, მამასთან ერთად ოჯახში შემობრძანდა სასწაულად მოხდენილი, წვერ-ულვაშებიანი ხნოვანი მამაკაცი (მეც და ჩემ ძმასაც ახლაც გვახსოვს მისი მშვენიერი, შეხინით გასხივოსნებული სახე).

ჩვენი სტუმარი როგორც შემდგომში შევიტყვეთ, უძლიერესი პიროვნება, საზოგადო მოღვაწე – რაბი დავით ბააზოვი ბრძანდებოდა.

დედა დიდი სითბოთი და პატივით მიეგება სტუმარს, რაბიმ თვალი გადაგვავლო, იქვე მდგომ ბავშვებს, დედამ ჩემს ძმა ბორიაზე მიუთითა: „ბატონო დავით, ეს თქვენი მონათლული ბიჭი გახლავთ, უკვე ასე გაიზარდა!" რაბიმ სიყვარულით გადაუსვა ხელი ბორიას ხუჭუჭ თმაზე და შუბლზე აკოცა, შემდეგ მეც მომეფერა და დაგვლოცა.

შემდგომ წლებში დედა უახლოვდება ნიჭიერ ეროვნულ პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალულ ახალგაზრდების ჯგუფს (გერშონ წიწუაშვილი, მიშა წიწუაშვილი, მიშა ჯანაშვილი, დავით შიმშილაშვილი და სხვ) და ყველანაირ ფინანსურ თუ მორალურ თანადგომას უწევს მათ.

აღფრთოვანებულია, ჩვენ თემის სასიქადულო მხატვრის – მიშა ჯანაშვილის სურათებით, მათში ეროვნული სულისკვეთების გამოხატვით და შინაარსით, არც ერთ მის გამოფენას უყურადღებოდ არ ტოვებს.

ცნობილმა პიროვნებამ, გაზეთ „ალიას" რედაქტორმა, აბრამ სეფიაშვილმა, პირველი „სიონისტური ნათლობა" ჩვენს ოჯახში მიიღო.

როგორც თვითონ იგონებს,მაშინ 16-17 წლის ახალგაზრდა, კულაშიდან ბათუმში სწავლის გასაგრძელებლად იყო ჩამოსული.

– ერთ-ერთ პარასკევს საღამოს სალოცავში ბინიამინ ბოთერაშვილმა თვალი შემავლო მარტოდ მდგომ უცხო ახალგაზრდას, მომიახლოვდა და ვინაობა რომ გამომკითხა, ოჯახში ვახშამზე მიმიწვია, სადაც მშვენიერი ვახშმის გარდა, ქალბატონი დინა, თავისი სიონისტური იდეებითაც გამიმასპინძლდა. ძალიან დავინტერესდი ამ საუბრებით და მოვუხშირე მათთან სტუმრობას.

მისმა იდეებმა ისე ამანთო, რომ გადავწყვიტე დამოუკიდებლად მებრძოლა ისრაელში ამოსვლის უფლებისათვის, რა თქმა უნდა, ეს ქმედება ძალიან ნაადრევი იყო ჩემთვის და გაუთვალისწინებელი.

ძალიან მალე „კგბ"-ს სარდაფში ამოვყავი თავი. ერთი კვირა მაწამეს დაკითხვებით: „ვინ ჩაგინერგა ეგ იდეები?" მაგრამ მე არ გავეცი ქ-ნი დინა და ბ-ნი ბინიამინი.

ამ გარემოებამ დიდი როლი ითამაშა შემდგომში ჩემს მსოფლმხედველობაზე და მოღვაწეობის შინაარსზე.

დედას თავდადებამ და პატრიოტიზმმა საზღვარი არ იცოდა. ჩემი რძალი გულნარა იხსენებს:

„ერთხელ მე და დედამ, ჩემი პატარა მერაბი ზღვის სანაპიროზე სასეირნოდ გავიყვანეთ. მაშინ იგი 9 თვის ბავშვი იყო და ზედ დავკანკალებდით. ვზივართ სანაპიროზე, მერაბის ვეფერები, უცბად დედა მეკითხება:

– გულო, ძალიან გიყვარს შენი შვილი?

– დედა, ამას რას მეკითხები, ჩემს სიცოცხლეს არ დავიშურებ ამისთვის.

– აი, დავუშვათ, ისრაელის სახელმწიფოს საკეთილდღეოდ თუ შესწირავდი შვილს?

– დედა, ამას რას მეუბნები?!

– მე კი, შევწირავდი ჩემს შვილს – მიპასუხა დედამ.

ერთი კვირა გაბრუებული დავდიოდი, ეს რა მითხრა დედამ-მეთქი, ახლა კი, წლების მიღმა მივხვდი, რა ძლიერი ყოფილა თურმე დედა.

ძალიან განათლებული ქალი ბრძანდებოდა. იმჟამად გამეფებული კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდის დროს, როდესაც ახალგაზრდობა მოწყვეტილი იყო სარწმუნოებრივ წყაროს, მით უმეტეს ეროვნულ საკითხებში, დედა ცდილობდა, რომ მომავალ თაობას არ დაეკარგა სულიერი კავშირი თავის ეროვნულ ფესვებთან, ეროვნულ კულტურასთან.

შეგვკრებდა თავის შვილებს, ძმისშვილებს და ახლო ნათესავების შვილებს, უბრალოდ გინდ ხაჭაპურებზე, გინდ ხინკალზე და საათობით გვიამბობდა, თუ ვინ იყო დ-რი თეოდორ ჰერცლი – რა პირობებმა გადააწყვეტინეს მას ისრაელის სახელმწიფოს დაარსების აუცილებლობა და აქედან გამომდინარე სიონისტური მოძრაობის დაფუძნება. რა როლი ითამაშა ამან ებრაელი ხალხის ისტორიაში.

ჩვენ უნდა გვცოდნოდა, რომ ებრაელი, რამდენადაც „დიდიც არ ყოფილიყო, ვერ დააღწევდა თავს თავის ებრაელობას:

გვიამბობდა იმაზე მსოფლიოში აღიარებულ კინოვარსკვლავს, განთქმულ მსახიობს და კინორეჟისორს, ჩარლზ სპენსერ ჩაპლინს, რომელიც თავს სუფთა ინგლისელად თვლიდა, როდესაც დევნა დაუწყეს, როგორ შეახსენეს ებრაული წარმოშობა (დედა ებრაელი ჰყავდა) „ბინძური ურიკელა", წერდნენ გაზეთები, და აიძულეს ამერიკიდან სამუდამო საცხოვრებლად შვეიცარიას გამგზავრებულიყო.

„მე არასოდეს არ ვიყავი ებრაელი – წერდა ჩაპლინი – მე მაიძულეს, ჩემი ებრაელობა მეღიარებინა".

გამოჩენილმა გერმანელმა პოეტმა, ჰაინრის ჰაინემ – ეროვნებით ებრაელმა – რატომ მიიღო ქრისტიანობა და სიცოცხლის ბოლო წუთებში, მაინც რაბინს მოუხმო, რომ მისთვის კადიში ეთქვა.

მსოფლიოში გამოჩენილმა, უდიდესმა მათემატიკოსმა ალბერტ აინშტეინმა, რომლის ცნობილმა ფარდობითობის თეორიამ, შეცვალა შეხედულება სამყაროზე, როგორ დატოვა მან მშობლიური გერმანია, რომ ნაცისტების „კლანჭებს" მოცილებოდა და სამუდამო საცხოვრებლად ამერიკაში გაემგზავრა.

სახელგანთქმულმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ – ილია ერენბურგმა, ერთ-ერთ დარბაზში გამოსვლის დროს როცა სამშობლოზე ლაპარაკობდა (მაშინ იგი მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეც იყო), დარბაზიდან ვიღაც ანტისემიტის რეპლიკაზე: „რომელ სამშობლოს გულისხმობთ თქვენ?" სიტყვა მახვილურად მოუჭრა, „იმ სამშობლოს, რომელიც ვლასოვმა გაჰყიდა". (გენერალი ვლასოვი თავის ჯართან ერთად გერმანელების მხარეზე გადავიდა).

რუსეთში და მსოფლიოში აღიარებული მსახიობი და რეჟისორი, მიხოელსი, რატომ გამოასალმეს სიცოცხლეს. და ასე ბევრი რამ, გაუთავებლად შეეძლო საუბარი დედას. გაოცებით ვუსმენდით ახალგაზრდები.

– დედა, საიდან იცი ამდენი რამე? – ვეკითხებოდი მე.

– ბევრი უნდა იკითხოთ, და თქვენც გეცოდინებათ.

და მეც და ჩემი ძმაც, ბორია, გამალებით ვკითხულობდით წიგნებს. პაექრობა გვქონდა გამართული, მაგრამ ვერასდროს ვერ ვჯობნიდი მას.

დიდ, სქელტომიან წიგნებს 4-5 დღეში კითხულობდა, მე კი, ორი კვირაც არ მყოფნიდა იმ წიგნების წასაკითხად. ძალიან ნაკითხია ბორია.

სამაგიეროდ, ლექსებში ვჯობნიდი. პოეზია დედას ცხოვრების განუყრელი ნაწილი იყო. უამრავი ლექსები იცოდა ზეპირად, ბევრსაც თვითონ წერდა.

არ დამავიწყდება იმ პოეზიის საღამოების სილამაზე, დედა და მისი ძმა, მიშა დავარაშვილი რომ აწყობდნენ. პოეზიით გატაცებული მიშა ძალიან ნიჭიერი იყო, თვითონაც კარგ ლექსებს წერდა. რუს პოეტებში განსაკუთრებით ესენინი უყვარდა, სულ უბით დაჰქონდა მისი ლექსები, ბევრიც თვითონ თარგმნა, მერწმუნეთ, ღირსეულად. დედა და მიშა რომ დაიწყებდნენ ლექსაობას, დასასრული არ ჰქონდათ. ტერენტი გრანელი, პაოლო იაშვილი, (აკრძალულები იყვნენ მაშინ), იოსებ გრიშაშვილი, მარიჯანი, გალაკტიონი, აღტაცებით ვუსმენდი მათ. დედას უმცროსი ძმა, ბესიკი, მხატვრობის ნიჭით იყო დაჯილდოვებული, ბოლო წლებში კი ძერწვამ გაიტაცა.

დასასრული მე-7 გვერდზე

ქი თავო

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?
რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლევინი

კვირის საკითხავ თავში "ქი თავო" ჩამოთვლილია ყველა ის წყევლა, რომელიც თავს დაატყდება ებრაელ ხალხს იმ შემთხვევაში: "თუ თქვენ არ დაემორჩილებით გამჩენის, თქვენი ღმ-რთის ხმას . . . მოგეწევათ ყველა ეს წყევლა თქვენ და თავს დაგატყდებათ ისინი თქვენ". ჩვენი ბრძენები გვიხსნიდნენ: "ნუ წაიკითხავთ "ვაესიგუხა" (თავს დაგატყდებათ), წაიკითხეთ "ვაეციგუხა" (დაგიცავენ თქვენ).

თუ არა ის ტანჯვანი, რომელნიც გაიძულებენ თქვენ დაუბრუნდეთ გამჩენს და რომელნიც გამოისყიდიან თქვენს ცოდვებს, თქვენ ვერ შეძლებდით არსებობას".

მოისმინეს რა გაფრთხილება, ებრაელები შიშმა შეიპყრო. ამიტომ მოშემ ისინი ყველა ერთად შეკრიბა – მამაკაცები, ქალები, ბავშვები – და აუხსნა, რომ გამჩენს განზრახული ჰქონდა მათი დაწყევლა მათივე საკეთილდღეოდ. ტანჯვა ებრაელებს სხვა ხალხებთან ასიმილაციისაგან დაიცავს, და ცოდვებისაგან გამოსყიდვა მაშიახის მოსვლის შემდეგ მომავალ სამყაროში დაუდებს მათ წილს.

გვიყვებიან, რომ მანამ რაბი შიმონ ბარ იოხაი და მისი ვაჟი ელაზარი რომის ხელისუფალთ გამოქვაბულში ემალებოდნენ, ერეც ისრაელის ბრძენები გაფრთხილებას სწავლობდნენ. „რატომ, – კითხულობდნენ ისინი, პირველი გაფრთხილების შემდეგ (თორის თავში „ბეხუკოთაი") გამჩენი ანუგეშებს ებრაელებს, ხოლო ასეთ მკაცრ გაფრთხილებას, როგორიც ამ თავშია, დამაწყნარებელი სიტყვები არ მოყვება?" მათ სურდათ რაბი შიმონ ბარ იოხაისათვის ეკითხათ, მაგრამ არ იცოდნენ მისი ადგილსამყოფელი.

ერთხელ რაბი იოსე ბარ რაბი იეჰუდამ მტრედების გუნდი შენიშნა, რომელთაც მარტოდმფრენი მტრედი მიჰყვებოდა. „მტრედო, – წამოიძახა მან, - შენ ერთგული შიკრიკი ხარ ჯერ კიდევ ნოახის პერიოდიდან და ებრაელი ხალხის სიმბოლო ხარ. გაფრინდი რაბი შიმონ ბარ იოხაისთან." მან დაწერა კითხვა და მტრედს ნისკარტში ჩაუდო, იმან კი გეზი რაბი შიმონ ბარ იოხაისაკენ აიღო.

წერილი რომ წაიკითხა, რაბი შიმონ ბარ იოხაიმ ტირილი დაიწყო და თქვა: „როგორ დაეცა ჩვენი თაობა, თუკი არ შეუძლიათ თორის საჭირო დონეზე განმარტება". მაშინ წინასწარმეტყველი ელიაჰუ გამოეცხადა მას დასამშვიდებლად და პასუხის მისანიშნებლად. „ეს კითხვა ციურ იეშივაშიც დასვეს, - შეატყობინა მას ელიაჰუმ. – საქმე იმაშია, რომ ეს გაფრთხილება თორის წიგნ ვაიკრაში მოყვანილ გაფრთხილებასთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებად მკაცრია (და ამიტომ მას არ მოყვება ნუგეშისმომცემი დაპირება). აქ გამჩენმა გაიმეორა იგივე მუქარები და დაპირებები, მაგრამ სხვა ინტონაციაში – ისე, როგორც ეს შვილის საქციელით შეშფოთებულ მამას შეეფერება, რომელიც საყვედურობს მას, რადგანაც თანაუგრძნობს და ეცოდება. სინამდვილეში კი ამ გაკიცხვის ყველა ასპექტი გამჩენის მიერ ებრაელი ხალხის სიყვარულიდან გამომდინარეობს, და მისი ყოველი ნიუანსი საჭიროა ებრაელთა სიწმინდის გზაზე დასაყენებლად.

მიაქციეთ ყურადღება, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა გამჩენი აფრთხილებს ებრაელებს, ნახმარია სახელი „აშემ" – რაც გულმოწყალებას ნიშნავს.

მრავალი წყევლა მეორდება, რადგანაც გამჩენმა განჭვრიტა ჩვენი გალუთის ხანგრძლივობა და უდიდესი სურვილი ჰქონდა ებრაელები მონანიებამდე მიეყვანა.

გემარას (იომა 9ა) მოჰყავს ასე არანორმალურად ხანგრძლივი განდევნის მიზეზი: პირველი ტაძარი ებრაელთა კერპთაყვანისმცემლობის, სისხლისღვრისა და უზნეობის გამო დაინგრა. მეორე ტაძრის დანგრევის მიზეზი კი ებრაელთა შორის უმიზეზო სიძულვილი გახდა. ის, ვინც ასე სცოდავს, ხშირად არც ესმის, რომ შესცოდა, და თუ შეიგნებს ამას, არცთუ იშვიათად ვერ სწვდება ცოდვის სიღრმეს, და აქედან გამომდინარე, ვერ მოინანიებს ისე, როგორც ეს საჭიროა. ჩვენს განდევნას ბოლო არ უჩანს, რადგანაც უმიზეზო სიძულვილი ჯერ ისევ ფართოდაა გავრცელებული და არაა მონანიებული.

მაგრამ, როგორც წინასწარმეტყველმა სთქვა, ყველაზე საშინელ წყევლაშიც კი ხსნაა ჩადებული. იქ, სადაც ნათქვამია: „გამჩენი ჩამოგიგზავნით თქვენ ყველა იმ დაავადებასა და ცემულობას, რომელთა შესახებაც არ წერია თორის ამ წიგნში", ფორმულირება განუსაზღვრელია. „იალემ ალეიხა" (ჩამოგიგზავნის შენ) შეიძლება წავიკიხოთ ასეც „ეალემ ალეიხა" (ის დაგიფარავს შენ (მისგან); ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არ გამოგიგზავნის დაავადებებს. კითხულობთ რა გაფრთხილებებს, უნდა გახსოვდეთ, რომ გამჩენის უდიდესი სურვილია არ მიატოვოთ თორა და თუ მაინც უარყავით, დაუბრუნდეთ".

ელიაჰუმ რაბი შიმონ ბარ იოხაის კიდევ ერთი საიდუმლო გაუმხილა: ბოლო ფასუქი: "და გამჩენი დაგაბრუნებს შენ ეგვიპტეში გემებით" შენიღბული კურთხევაა. ის მიგვანიშნებს, რომ მომავალში გამჩენი მოახდენს გამოსვლის შემდეგ მომხდარი სასწაულების მსგავს სასწაულებს. ხალხები მოინდომებენ ებრაელთა განადგურებას გემებზე, მაგრამ ისინი თავად დაიხრჩობიან ზღვაში".

წერილობითი თორა ასევე სანუგეშო დაპირებაა განდევნილთა ერთად შეგროვებაზე (თავი 30, ნიცავიმ). წიგნი "თოლდოთ იცხაკი" გვიხსნის, რომ ეს დაპირება გაფრთხილებისაგან გამოყოფილია იმისათვის რომ მიგვანიშნოს, ჩვენი დღევანდელი განდევნა დიდხანს არ იქნება გამოსყიდული. ეს მოხდება მაშინ, როცა უკვე იმედი გადაგვეწურება.

როცა საღამოხანს მტრედი რაბი იოსესთან დაბრუნდა, მან განაცხადა: „ჩვენ არ ვიცით რაბი შიმონ ბარ იოხაის ზუსტი ადგილსამყოფელი, მაგრამ იქ თორაც არის. ბედნიერია ის!"

გამჩენი ამბობს: „ნუ გეშინია ჩემო მონავ, იაკობ" (ირმიაჰუ 30:10).

სასამართლოს დიად დღეს არ გავანადგურებ ებრაელ ხალხს! როცა სამაელი, ესავის მფარველი ანგელოზი წარმომიდგენს ებრაელთა ცოდვების სიას, მე წარვუდგენ მათი ტანჯვის ჩამონათვალს. ყველა თაობის ებრაელებს დევნიდნენ და მათი ტანჯვები მთლიანობაში მათივე ცოდვების ჩამოსარეცხად სავსებით საკმარისი იქნება. ამიტომ სამაელი ჩუმად იქნება, თქვენ კი უფლებას მიიღებთ აღსდგეთ მკვდრეთით და იცხოვროთ მარადიულად.

დასასრული



მეუღლე — ბინიამინ ბოთერაშვილი

ტყავის, ძვლის და ხის მასალებიდან ქმნიდა შესანიშნავ სურათებს და მცირე ზომის საგნებს. თავის ერთ-ერთ გამოფენაზე, მან მისი ხელით ფილიგრანულად ნაკეთები ჭადრაკი 32 ფიგურით ხელის გულზე რომ თავსდებოდა შიმონ პერესს მიართვა საჩუქრად. დიდად ქველმოქმედი ქალი ბრძანდებოდა დედა. მამაჩემი სიცილით იტყოდა ხოლმე: „ამდენი ხნის ცოლ-ქმარი ვართ და მე ჯერ არც ერთი კაპიკი დინას ოჯახში შემოტანილი არ მინახია".

მართლაც, დედას პირადი შემოსავალი მთლიანად ხმარდებოდა ქველმოქმედებას. ეს იყო გაჭირვებული ნათესავების ან ღარიბი ებრაელების ოჯახები. მეტი წილი კი იატაკქვეშა მომუშავე სიონისტური ჯგუფის დასახმარებლად.

ჩვენც, თავის შვილებს, ყოველთვის გვასწავლიდა, რომ გაჭირვებულ ადამიანს უნდა დავხმარებოდით. მით უმეტეს ებრაელს: „იცოდეთ, გაჭირვებული ებრაელი ვე-რასდროს ვერ დადგება ქუჩაში ხელგაწვდილი და დახმარებას ვერ მოითხოვ (ეს გასაგები იყო ისტორიულ ვითარებით, ებრაელი არავის არ უყვარდა. და ამ შემთხვევაში, მას დახმარების მაგიერ შეიძლება უფრო დიდი დამცირება მიეღო), ამიტომ იგი ან სალოცავს მიაგნებს, ან ოჯახში მოვაკითხავთ, და თქვენ უფლება არა გაქვთ დახმარების ხელი არ გაუწოდოთ მას, ამან გადაარჩინა ებრაელობა". და ჩვენც ამ კრედოთი დავდიოდით და დავდივართ მთელი ცხოვრება.

შემდგომ წლებში, მოწინავე ებრაელთა ბრძოლისა და იმ დროისთვის მომხდარი ხელშესაწყო პოლიტიკური ცვლილებების შემწეობით, დაიწყო დიდი „ალია" ისრაელისაკენ.

იწყება რადიო „კოლ ისრაელის" გადაცემები ქართულ ენაზე, მაგრამ ისინიც თავდაპირველად დიდი შეზღუდვებით მიმდინარეობდა. არ არსებობდა ის დღე და ის საათი, რარიგ საპატიო სტუმრებიც არ გვყოლოდა სახლში, რომ დედა თავის კაბინეტში რადიომიმღები არ განმარტოვებულიყო, და ვინ გაბედავდა კარი შეეღო და მის ყურზე მიბჯენილი რადიომიმღების მოსმენა შეეფერხებინა. მაშინ პირველად რადიოთი გავიცანი ჩვენი სახელოვანი ჟურნალისტების: მირიამ ბათ-მოშეს, მარგო ეფრემაშვილის, თამარ კეზერაშვილის გადაცემები, ისრაელში მიმდინარე ახალი ამბები.

გადიოდა წლები, ჩვენი ოჯახებიც აქტიურად ეშურებოდნენ ისრაელისაკენ.

უკვე დაიწყო თავისუფალი მიმოწერა ისრაელში ასულ ნათესავებსა და მეგობრებს შორის. დედას ოცნებებს ფრთები ესხმოდა.

ჩვენი ოჯახიდან პირველი ჩემი ძმა ბორია გაუდგა ისრაელისკენ მიმავალ გზას.

დედა გულით ლოცავდა და აბარებდა შვილს: „იცოდე, გზას არ გადაუხვიო, შენი ბოლო სადგური ისრაელი უნდა იყოს". (იმ დროს ვენაში ხვდებოდნენ ებრაელებს და იბირებდნენ სხვადასხვა ქვეყნებში წასასვლელად).

შემდგომში, ჩემი დედ-მამაც და მეც ჩემი ოჯახით უნდა გავყოლოდით გზას ისრაელისკენ, მაგრამ ჩვენი ოჯახების ბედის ბორბალმა უკან დაიწყო ტრიალი.

მამა მძიმედ დაავადდა და ორი წლის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

საშინელი სიცარიელე ვიგრძენით ირგვლივ... არ ვიცოდით, როგორ უნდა გვესაუბრა უმისოდ.

ამავე დროს, ჩემ მეუღლეს უარი უთხრეს საზღვარგარეთ გასვლაზე, თავისი სამსახურის გამო და სამსახურიდანაც დაითხოვეს. 12 წელი „უართქმული" იყო ჩემი ოჯახი.

დედა ისევ განსაცდელში ჩავარდა.

აქ ქალიშვილს ვერ ტოვებდა, იქ კი ვაჟიშვილი დაჟინებით ითხოვდა დედას ისრაელში ჩასვლას.

ერთ-ერთ თავის ლექსში დედა წერდა:

„საქართველო თერგიანო,
ისრაელო სულ მზიანო,
რა ვიღონო, ეს ორი ცა,
როგორ გავაერთიანო".

ბოლოს და ბოლოს ვაჟიშვილის მონატრებამ და მთელი მისი სიცოცხლის ოცნებამ, ისრაელმა, გადაწონა და დედა ისრაელს გავაცილეთ.

ახლაც მახსოვს ის უღიმღამო საღამო, ბრესტის სადგურში, დედას რომ ვაცილებდით.

ჯერ „ტამოჟნამ" გააწამა, ბევრი ძვირფასი ნივთი ჩამოართვეს, შემდეგ კი ჩემთან დაცილებამ მთლიანად გამოფიტა.

საშინლად წვიმდა. "პერონზე" გასვლის უფლება გამცილებლებს უკვე აღარ გვქონდა. ახლაც მახსოვს, სრულიად მარტო, ორი მძიმე ჩანთით ხელში, მოხუცი, განაწამები ქალი, როგორ მიაბიჯებდა იმ სიბნელეში, თქეშში, წვიმაში, მაგრამ მაინც ამაყად და შემართებით, რადგან იქ მას სახელოვანი ვაჟიშვილი, მისი ოჯახი და მთელი სიცოცხლის საოცნებო, ისრაელის სახელმწიფო ელოდებოდა.

წვიმის შხეფები ჩემს ცრემლებს ერწყმოდნენ და მილანდავდნენ დედის აჩრდილებს, არ ვიცოდი, გვეწერა კი კიდევ შეხვედრა.

დედასთვის მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში ვწერ:

„შავმა წყვდიადმა, ბრესტის სადგურში,
ჩვენ სამუდამოდ იქ დაგვაცილა,
ვერ ვიტყვი ახლა, ვინ უფრო ძლიერ
სტიროდა მაშინ, მე თუ ის წვიმა..."

იმ დროს, ისრაელთან სატელეფონო კავშირი პრობლემა იყო. ჩვენ მოლაპარაკებული ვიყავით, გზა-გზა უნდა ეგზავნა ჩემთვის პატარ-პატარა წერილები, თუ როგორ მიმდინარეობდა მოგზაურობა.

და აი, ვენიდან ვღებულობ წერილს. რომ წავიკითხე, ავტირდი. „ვენაში რომ ჩავედით, დიდი პატივით მიგვიღეს დამხვდურებმა და საუკეთესო სასტუმროში მოგვათავსეს, ვახშმის დრო ახლოვდებოდა, ნომერში დამირეკეს და ვახშამზე რესტორანში მიმიწვიეს.

მაგრამ მე, ისეთი განაწამები და დაღლილი ვიყავი, ლოგინიდან თავის წამოწევის ძალა აღარ მქონდა. მადლობა გადავუხადე და მიწვევაზე უარი ვუთხარი. ძალიან მოკლე ხანში კარებზე ზარის ხმა გაისმა. ოფიციანტმა ვახშმის მენიუ მომაწოდა და მთხოვა, დამეკვეთა რაც მსურდა.

მენიუს რომ გადავხედე, განცვიფრებული დავრჩი, სულო და გულო, რა არ იყო შიგ წარმოდგენილი: ხიზილალიდან ათასნაირ დელიკატესებამდე, მაგრამ მე მხოლოდ მცირედი დაუკვეთე, ამას ხომ ისრაელის სახელმწიფო იხდიდა"...

ამიტომაც ავტირდი. რა უნდა ეჭამა იმ მოხუც, ღვაწლმოსილ ქალს (ისედაც ჩიტისხელა ულუფას მიირთმევდა ხოლმე), რომ ისრაელის სახელმწიფოს რამე დაკლებოდა. ამის კომენტარი ძალიან შორს წამიყვანს. ერთი კი მინდა ვთქვა, აი, სწორედ ასე ცხოვრობდნენ ის პატრიოტი ებრაელები, თავისთვის რომ არაფერს ითხოვდნენ, ოღონდ ისრაელის სახელმწიფოს არაფერი დაჰკლებოდა, სწორედ ასეთებმა აქციეს ისრაელის უდაბნო წალკოტად და აყვავებული ქვეყანა დაგვახვედრეს.

გადიოდა წლები, ჩემს ოჯახს არ აძლევდნენ ისრაელში წასვლის უფლებას. დედა კი სულმოუთქმელად მელოდებოდა. მწერდა, რომ დიდი პატივით მიიღო ისრაელის ქართველმა თემმა. ხშირად იწვევდნენ ღონისძიებებზე, ხშირად სიტყვითაც გამოდიოდა. მისი ნარკვევები და ლექსები იბეჭდებოდა ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებში. სთავაზობდნენ მისთვის საპატივცემო საღამოს მოწყობას, მაგრამ იგი უარს ამბობდა, ელოდა ქალიშვილის ჩამოსვლას, მაგრამ ქალიშვილს აღარ ეწერა დედასთან შეხვედრა. ცოცხალს ვერ ჩამოვუსწარი, რაც დღემდე გულზე დაღად მადევს.

ისრაელში ამოსვლისთანავე საფლავზე გავედით. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ, თელ-ავივში, მწერალთა სახლში, ჩატარდა დინა დავარაშვილის ხსოვნის საღამო, რომელსაც ისრაელის მწერალთა კავშირის და საქართველოდან გამოსულთა გაერთიანების ეგიდით, ხელმძღვანელობდა ცნობილი ჟურნალისტი, ქ-ნი თამარ კეზერაშვილი.

დარბაზში ტევა არ იყო. ბევრი დერეფანშიც კი იდგა. იყო საინტერესო გამოსვლები ჩვენი თემის გამოჩენილი ადამიანებისა და ოჯახის წევრებისა.

ბევრი რამ, მისი მოღვაწეობის შესახებ იმ საღამოს პირველად მოვისმინე.

და ბოლოს, მინდა იმავე სიტყვებით დავასრულო ჩემი თხრობა, რომელითაც იმ საღამოს გამოსვლა დავიწყე:

„ერი, რომელიც არ ივიწყებს თავის ღირსეულ შვილებს, უკვდავია".

ცირა ბოთერაშვილი
ისრაელი, თელ-ავივი

„თბილისელები"

ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ სიმონ კრიხელი ნიუ-იორკში სცემს გაზეთს „დავითის ფარი". ეს არის 24 გვერდიანი გაზეთი, რომელიც ერთდროულად გამოდის ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე და ძირითადად ასახავს აშშ-ში მცხოვრები ქართველი ებრაელობის ყოფას, თუმცა, გაზეთის ფურცლებზე დიდ ადგილს იკავებს ევროპელ ებრაელთა, უმთავრესად რუსულენოვანი – რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, მოლდოვეთიდან, შუა აზიის რესპუბლიკებიდან გამოსულთა ყოფა-ცხოვრებაც.

ახლახან სიმონ კრიხელმა დაიწყო ახალი ოთხგვერდიანი გაზეთ „თბილისელების" გამოცემა, რომელშიც თავი უნდა მოიყაროს თბილისში დაბადებულმა და გაზრდილმა სხვადასხვა ერების წარმომადგენელთა მოგონებებმა თბილისზე, გაფანტული მეგობრების მოძიებამ, თუ სხვა ხასიათის მასალებმა.

„მენორა" მიესალმება თბილისელების ამ კეთილშობილურ ძალისხმევას მეგობრული ურთიერთობისაკენ.

ისრაელის დიდი რაბინები ობამას მონად მოიხსენიებენ

ამას წინათ შაბათის გასვლისას, სეფარდი ებრაელების სულიერი ლიდერი — რაბი ოვადია იოსეფი გამოვიდა აშშ-სა და მისი პრეზიდენტის ბარაკ ობამას მკაცრი კრიტიკით.

— ჩვენ არა ვართ ამერიკის მონები, ჩვენ ნუ გვიბრძანებენ სად რა ავაშენოთ — თქვა ოვადია იოსეფმა. მან არც ამერიკის პრეზიდენტის წარმომავლობაზე საუბარს აარიდა თავი და წიგნიდან „ეიხა" — იერემიას გოდება — გაიხსენა სტრიქონი „მონები ბატონობდნენ ჩვენზე" და დასძინა — მესია „გვიხსნის მისგან".

ცოტა ადრე აშშ პრეზიდენტისადმი ანალოგიური დამოკიდებულება გაახმოვანა თანამედროვე იუდაიზმის დიდმა ავტორიტეტმა — რაბი ხაიმ კანევსკიმ. მან მოიგონა სოლომონის იგავი: „მონა, რომელიც მეფე გახდა". რაბი კანევსკიმ შენიშნა, რომ იყო შემთხვევა, როცა ჩვენზე მონა ბატონობდა. ეს იყო მეფე იროდი — ედომელ მონათა შთამომავალი.

მენორას მე-14 ნომერში დაბეჭდილი კროსვორდის პასუხები

1. ვარბურგი. **2.** ბრაუნი. **3.** ბარანი. **4.** კოხერი. **5.** მილშტაინი. **6.** ლანდშტაინერი. **7.** ლიპმანი. **8.** მეჩნიკოვი. **9.** კორნბერგი. **10.** ჩეინი.

ობამას უარი

13 ივლისს თეთრ სახლში გაიმართა აშშ პრეზიდენტის ბარაკ ობამას პირველი შეხვედრა აშშ ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრაში მონაწილეობდა 15 ებრაელი ლიდერი. ამ 45 წუთიანი საუბრის მთავარი თემა გახლდათ ირანის ბირთვული პროგრამა და აშშ ადმინისტრაციის მცდელობა შეაჩეროს ებრაული ახალმოსახლეობანი იორდანეს დასავლეთს სანაპიროზე.

როგორც გაზეთი „ჰაარეცი" იტყობინება, შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილე ებრაელმა ლიდერმა აშშ პრეზიდენტს სთხოვა არ გახმაურდეს აშშ ადმინისტრაციისა და ნეთანიაჰუს ხელისუფლების უთანხმოება ახალმოსახლეობათა საკითხში. აბამამ ეს მოსაზრება უარყო.

„საქართველოს ებრაელები სპორტულ სარბიელზე"

წიგნის პრეზენტაცია

საღამოს დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ ბათ-იამის „აუდიტორიუმის" 200 კაციანი დარბაზი ყველა მსურველს ვერ დაიტევდა. საღამო კი ეძღვნებოდა ჩვენი თემის ღირსეული კაცის, ამჟამად საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სპორტული კომისიის თავმჯდომარის - დოქტორ ბორის ჩაჩანაშვილის წიგნის - „საქართველოს ებრაელები სპორტულ სარბიელზე" - პრეზენტაციას და საზოგადოებრიობის სამსჯავროზე მის წარდგენას.

„ეს წიგნი შესანიშნავი საჩუქარია ქართულენოვანი მკითხველისათვის."

ჯემალ აჯიაშვილი მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. კონგრესის გენერალური დირექტორი

ლამაზად, გემოვნებით გაფორმებული ფოიე, სპორტული ცხოვრების ამსახველი ასამდე ფოტოილუსტრაცია, მოფუსფუსე ოჯახი, მეგობრები, გაფაციცებული ფოტო და ტელეკორესპონდენტები, საინტერესო ადამიანთა სახეები - საღამოს ზეაწეულ განწყობილებასა და განსაკუთრებულ ელფერს მატებდა.

ხოლო მას შემდეგ, რაც დარბაზში გაცხადდა, რომ ჩვენი თემის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, ევროპის ორგზის ჩემპიონის (ჭაბუკთა შორის) დავით მამისთვალოვის უმცროსმა ძმამ იაკობ მამისთვალოვმა ამ ორიოდე დღის წინათ ასევე ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონის საპატიო ტიტული მოიპოვაა, ეს ზეაწეული განწყობილება საღამოს ბოლომდე გაჰყვა.

საღამოს წამყვანის, მართლაც იმ დღის სულისა და გულის, ბატონ სულო სეფიაშვილის უშუალობამ და აუდიტორიასთან სიახლოვის უნარმა განაპირობა ძალზე შინაურული ატმოსფეროს შექმნა, რაც ყოველი გამომსვლელის ინტონაციიდან გამოსჭვიოდა.

„მონატრებული ადამიანების სახეები, ორ სამშობლოზე - საქართველოსა და ისრაელზე განაწილებული მათი ცხოვრების ბიოგრაფიები გვხვდება წიგნის თითქმის ყოველ ფურცელზე"

თენგიზ გაჩეჩილაძე „ლელოს" რედაქტორი

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის გენერალური დირექტორის, პროფესორ ჯემალ აჯიაშვილის, ისრაელის რადიოს ქართულენოვან გადაცემათა რედაქტორის, პროფესორ რეუვენ ენოხის, ცნობილი ბიზნესმენის, ფირმა „ელინორის" მენეჯერის - კონგრესის ვიცე-პრეზიდენტის იოსებ მამისთვალოვის, ჟურნალისტ ნუგზარ ჯანაშვილის და სხვა გამომსვლელთა სიტყვებში ერთი და უდავო აზრი: ავტორმა მეტად ნაყოფიერი, დიდი და ხანგრძლივი შრომა გასწია და შედეგად მივიღეთ სამაგიდო და მეტად საჭირო წიგნი არა მხოლოდ სპორტით დაინტერესებულთათვის - გადაიდგა პირველი ფუნდამენტური ნაბიჯი მომავალი დიდი საენციკლოპედიო ნაშრომის მოსამზადებლად.

„ერთი სურვილი ნამდვილად გვაქვს, რომელიც ალბათ წელს ასრულდება - გიხილოთ თბილისში თქვენს მშვენიერ წიგნთან ერთად."

დემიკო ლოლაძე

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

ქართველ ებრაელ სპორტსმენთა ერთი ჯგუფი პრეზენტაციაზე

საღამოზე ყოველი გამომსვლელის სიტყვაში უდიდესი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებოდა აწ გარდაცვლილი კონგრესის დამაარსებლისა და პრეზიდენტის ბატონ მიხეილ მირილაშვილის უდიდესი დამსახურება და ფინანსური და მორალური მხარდაჭერა და რაც მთავარია, უდიდესი დაინტერესება ამ წიგნის დროულად გამოცემის საქმეში. იგი მთელი საღამოს მანძილზე თავს დაგვტრიალებდა თავისი განუმეორებელი ღიმილითა და კეთილი ნეშამით - გვახსენებსო თითქოს - არ გადაუხვიოთ ჩემს გზას, ერის საკეთილდღეოდ გადადგმული არც ერთი ნაბიჯი არ იკარგება და ათმაგად უბრუნდებაო გამცემს!

„ასეთი სრულყოფილი და ისტორიული ფოტოებით ილუსტრირებული წიგნის შექმნას მრავალი წლის განმავლობაში ზღაპრული ნებისყოფა, უშრეტი ენერგია და უძილო ღამეები სჭირდებოდა."

გია გალდავა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

საღამო დაამშვენა დოკუმენტური ფილმების ჩვენებამ - „უიარაღო თავდაცვა" - კარატეში ევროპის ჩემპიონ ისრაელ მაზორის (მოძღვრიშვილის) აღსაზრდელთა ჯგუფის შესახებ და „ძმები ჩემპიონები" - ევროპის ჩემპიონებზე ძიუდოში ჭაბუკთა შორის - დავით და იაკობ მამისთვალოვებზე.

ბატონ სულო სეფიაშვილისაგან საზოგადოებას ეუწყა, რომ საქართველოს რადიომაუწყებლობის „ჯაკოს" (გენ. დირექტორი ჯამლეტ ხუხაშვილი) არხი უკვე მეორე დღეა სისტემატურად გადასცემს ინფორმაციას წიგნისა და ამ საღამოს შესახებ. სხვათა შორის, ცალკე აღნიშვნის ღირსია ბ-ნ ჯამლეტის „აღიარება" და აღფრთოვანება გამოთქმული საპრეზენტაციო წიგნის გამო: ... „რის გაკეთებაც წლების მანძილზე გაუჭირდათ რამდენიმე სპორტულ ჟურნალისტს და მათ შორის მეც, რომელიც 50 წელია ჩაბმული ვარ სპორტულ ცხოვრებაში"...

„ბორის ჩაჩანაშვილი ყველაფრით გამორჩეული იყო: სტუდენტებთან ჩინებული ურთიერთობით, თვალში საცემი მოწესრიგებულობით, პრინციპულობით და ყველაფრისადმი მაღალი პროფესიონალური პასუხისმგებლობის გრძნობით."

დურმიშხან ჩიტაშვილი

სპორტის აკადემიის ყოფილი რექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

საღამოს აპოთეოზად იქცა მოქმედ და ყოფილ სპორტსმენთა დაჯილდოება, რაც, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებით, მომავალში ალბათ სისტემატიურ ხასიათს მიიღებს. საერთოდ, კონგრესს არასოდეს დავიწყნია არც ახალგაზრდა სპორტსმენთა წახალისება, არც ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

იმ დღისათვის კი კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა გაბრიელ მირილაშვილმა სპეციალური ფულადი პრემია (10000 შეკელი) გამოჰყო ევროპის ახალგაზრდა ჩემპიონის - იაკობ მამისთვალოვის დასაჯილდოებლად. არც სხვა მოქმედი და ყოფილი სპორტსმენები დარჩენილან გულნაკლულნი: კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა და ცნობილმა ბიზნესმენმა იოსებ მამისთვალოვმა ფასიანი საჩუქრები (შვეიცარული საათები - მამაკაცებისათვის და ოქროს მაგენდავითი - ქალებისათვის) გადასცა საპრეზენტაციო წიგნში შეყვანილ რამდენიმე ცნობილ სპორტსმენს. აი, ისინიც:

იაკობ და დავით მამისთვალოვები - ევროპის ჩემპიონები ძიუდოში ჭაბუკთა შორის და მათი მწვრთნელი ლეონიდ ლანდსბერგი.

მიხეილ ბენიაშვილი - საბჭოთა კავშირის პირველობის ორგზის პრიზიორი რაგბიში.

ნინო ჩახვაშვილი - საქართველოს მრავალგზის ჩენპიონი ფარიკაობაში.

ბორის აგრანატი - სპორტსაზოგადოება „განთიადის" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, სპორტის ოსტატი (დაბადებულია ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს - 1948 წლის 14 მაისს).

ხაიმ ხანუკაშვილი - მსოფლიოს ორგზის რეკორდსმენი ძალოსნობაში, მსოფლიო სტუდენტურ თამაშობათა ორგზის ჩემპიონი.

ნოდარ ბაზაზაშვილი - თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი.

ორიტალ მაზორი - ისრაელის მრავალგზის ჩემპიონი კარატეში.

იციკ მამისთვალოვი - მსოფლიო და პარაოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ცურვაში.

მიხეილ მამისთვალოვი - ისრაელის ჩემპიონი და პრიზიორი ჩოგბურთში 10-12 წლის გოგონებს შორის.

არონ ელაშვილი - „ლოდის ბეითარის" ფეხბურთელთა ყოფილი გუნდის კაპიტანი.

ბორის ჩაჩანაშვილი - საქართველოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი.

„წინამდებარე ნაშრომი არა მარტო ნუსხაა მიღწევებისა, არამედ - უაღრესად საინტერესო და ამაღელვებელი მოთხრობა სპორტის, კერძოდ კი ქართულ-ებრაული სპორტის შესახებ."

სულო სეფიაშვილი

პოეტი, ჟურნალისტი, რედაქტორი

საღამო დასასრულს უახლოვდება.

წიგნის ავტორი ბორის ჩაჩანაშვილი ამაღელვებელ მადლობას მოახსენებს დამსწრე საზოგადოებას, კოლეგებს, მეგობრებს, ოჯახს, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია საღამოს მაღალ დონეზე წარმართვისათვის, კონგრესს და პატივს მიაგებს მიხეილ მირიელაშვილის ხსოვნას, მის სახელს, ნეშამას, სწორედ მისი უშუალო და პირდაპირი მოწადინებით იხილა ამ წიგნმა დღის სინათლე...

"მე ყოველთვის აღფრთოვანებაში მოვყავდი ებრაელთა ამ ერთ-ერთ შესანიშნავ თვისებას, რომელსაც მადლიერების გრძნობის მოჭარბებული გამოხატვის უნარი ჰქვია."

ვაჟა შუბლაძე საქართველოს პარლამენტის სპორტის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს თავ-რე

P.S. დარბაზის პირველ რიგში, მარცხენა ფლანგზე, წლებით დამძიმებული ვეტერანი, მსოფლიო ორგზის რეკორდსმენი, საქართველოში დაბადებული და დიდ სპორტსმენად აღიარებული ძალოსანი ხაიმ ხანუქაშვილი ზის და გასცქერის საზოგადოებას, ფიქრებში ჩაძირული, მოგონებებით დამძიმებული... მის საპირისპირო მხარეს, ასევე პირველ რიგში, მაგრამ მარჯვენა ფლანგზე, ახალგაზრდა, უკვე ისრაელში დაბადებული და სპორტსმენად დაფრთიანებული ძიუდოში ევროპის ჩემპიონები - იაკობ და დავით მამისთვალოვები იწონებენ თავს - დიდების შარავანდედით მოსილნი...

და მე მომეჩვენა, რომ ვეტერანი ძალოსანი ესტაფეტას გადასცემდა ჭაბუკ მოჭიდავეებს.

ნუგზარ ჯანაშვილი

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი